ყოველდღიური გამოცემა | ფასი 10 კაპ. | შაბათი, 1917 წ. მკათათვის 8 (20)

# საქართველო

ხელის მოწერა და ყოველგვარი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი წერილები და კორესპონდენციები უკან არ იხსნება; იხსნება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მიხაკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი უცხოეთისათვის და შინაურისათვის: Тифлисъ, ред. газ. „Сакартвело", поч. ящикъ № 76
ტელეფონი 15—73

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით [illegible] კანცელ[illegible]—20 კ. [illegible] მეოთხე გვერდზე განცხადება [illegible] სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოეულ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ კალანდაძის სტამბაში) ღირ. მეტი. თვიურად გაზეთი ღირს 2 მანეთი.

№ 147 | ყოველდღიური გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა | № 147

## გაზეთის შინაარსი

### საგულისხმო ცნობები

პეტროგრადი წყნარდება.

აღმასრულებელ კომიტეტმა მუშ. ჯარ. კაც. და გლეხთა ყრილობის მოწვევა საჭიროდ სცნო. გოცსა და ავქსენტიევს დაევალა დროებით მთავრობასთან კავშირის დაჭერა.

მთავრობის ჯარები ქუჩებში შეამბოხეთ ატყვევებენ და იარაღსა ჰყრიან.

თავრიდის სასახლეს სემიონოვის, იზმაილოვის, პეტროგრადის და ეგერთა პოლკები იცავენ.

რუსებმა სოფ. ნოვიცა აიღეს და ტყვეები წამოიყვანეს. ზარალიც დიდი მოუვიდათ.

საფრანგეთის ფრონტზე ორივე მხარეს ბრძოლები მიაქვს.

### წერილები

**მეთაური.** უკრაინის მეორე უნივერსალი.

**სომხური პრესა.** „ჰაიასტანი" და საქართველოს ისტორიული საზღვრები.

**გიორგი გვაზავა.** საქართველოს ავტონომია (დასასრული).

**ზ. ედილი.** ულინების ეკლესია.

**ქ. მარტვილელი.** არტაანიდან თორთუმამდე.

**პრ. ა. კიზევეტერის** წერილიდან: სოციალიზმის მოდა.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პირველი უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს ამ უბანში მცხოვრებ პარტიის წევრთა და თანამოაზრეთა საყურადღებოდ, რომ სამშაბათს, მკათათვის 11-ს, მოხდება წევრთა და თანამოაზრეთა საზოგადო ყრილობა ქართულ გიმნაზიის შენობაში, საღამოს 9 საათზე.

კრების საგანია:

საქალაქო არჩევნებისათვის მომზადება და დარაზმვა ჩვენი წევრებისა და თანამოაზრეებისა.

კომიტეტი სთხოვს წევრთა და თანამოაზრეთ აუცილებლად დაესწრნენ ამ კრებას და რაც შეიძლება მეტი თანამოაზრენი მოიყვანონ.

საქ. ეროვნულ დემ. პარტ. 1-ლი უბნის კომიტეტი.

3—761—3

საქართველოს ეროვნულ-დემოკ. პარტიის 2-ე უბნის კომიტეტი

აუწყებს თავის წევრთა და თანამგრძნობთ, რომ

მეორე რაიონის საზოგადო კრება

დანიშნულია ორშაბათს მკათათვის 10-ს, საღამოს 8 საათზე, სამეურნეო ბანკში ქართულ თეატრის პირდაპირ

კრების საგანია: ქალაქის არჩევნების შესახებ მოხსენება და დარაზმვა.

უმორჩილესადა ვსთხოვთ წევრთა და თანამგრძნობთ უსათუოთ დაესწრონ ყველა სრულ წლოვანი ქალი და კაცი ამ კრებას.

მეორე უბნის კომიტეტი.

2—764—1

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მე-8 და მე-9 უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოთ, რომ პარტიის წევრათ ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე მესამე მომრიგებელ მოსამართლის ბინაზე (ტურგენევის ქუჩა, სახლი № 4) კომიტეტის მდივან ვ. ყიფიანთან.

751

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის X და XII უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ-დღე საღამოს 6—11 საათამდე ახალ საკრებულოს (ხარფუხის კლუბი) ბინაზე კომიტეტის დროებით თავმჯდომარე დ. დუმბაძესთან და კლუბის ბუჰგალტერ კალატოზიშვილთან.

10—742—6

ქართველთა სამხედრო კავშირისა

მოუწოდებს ყველა ქართველ მეომარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხ. ექიმებს და მოხელეებს) ჩაეწერნენ აღნიშნულ კავშირში, რომლის მიზანია რუსეთის რევოლიუციის ხელის შეწყობა და საქართველოს ავტონომია. კომიტეტის ბინა მოთავსებულია ახალ კლუბის შენობაში (სასახლის ქუჩა). ცნობების მიღება შეიძლება „ჯარის კაცის" რედაქციაში დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8-დე.

კომიტეტი ქ. ს. კ.

10—740—6

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები ოსკან აირაპეტის ძე, მეუღლე ნინო სიმონის ასული მელქუმიანები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ კვირას მკათათვის 9 ს. დილის 10 საათზე მცხეთის წმ. ნინოს მონასტერში გადახდილი იქნება ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი უძვირფასესი და დაუვიწყარი შვილის

საშას (ალექსანდრას)

სულის მოსახსენებლად.

1—702—1

ღრმად დამწუხრებული თავადი ივანე სვიმონის ძე, ერისთავი, აუწყებს ნათესავთ და მეგობრებთ, რომ მკათათვის 11-ს სამშაბათს დილის თორმეტ საათზედ დ. ჩოხატაურში წმინდა გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი ძვირფასის მეუღლის

დესპინე წულუკიძის ასულის კნეინა ერისთავის

სულის მოსახსენებლად.

2—701—1

განცხადება

თბილისის საადგილ-მამულო სათავადაზნაურო ბანკი

თავის ახალ შენობაში გადავიდა, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე. ამიტომ ბანკის გამგეობა აცხადებს, რომ

სამი დღის განმავლობაში მკათათვის 10-დან 12-დის თავის მოქმედებას შესწყვეტს, მკათათვის 13-ს კი განაახლებს ახალ შენობაში.

1—704—1

„ახალი საკრებულოს"

მამასახლისთა საბჭო აუწყებს თავის წევრთ, რომ კვირას, მკათათვის 9-ს, დილის 10 საათზედ დანიშნულია

წევრთა საგანგებო კრება

საზაფხულო ბინაზედ, მიხეილის პროსპექტი № 129.

განსახილველია:

1) წევრთა და კანდიდატთა არჩევანი.
2) მოსამსახურეთა გაფიცვის შესახებ.
3) მიმდინარე საკითხები.

1—763—1

ექიმი ა. დ. კეკელია

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.

(თ—703—1)

ექიმი გ. ვ. ვეშაპიძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიკოვის ქუჩა, № 19

ექიმი მ. დ. ნინამძღვრიშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს სად. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

[illegible]

[illegible]

ქალანდარიშვილი

[illegible]

მანგლისში

საკადეტო კორპუსის ბანაკში

ექიმი მ. ფ. მგალობლიშვილი

ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, მეორე სართული, ტელ. 9—53.

ექიმი გ. გ. მუხაძე

იღებს ხალხისათვის ავადმყოფებს საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი ქალი

ე. ივ. გალაჯაშვილი-მათეშვილისა

იღებს ავადმყოფებს:

დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ. [illegible] ქუჩის კუთხე № 30.

ექიმი მ. ი. მაჩაბელი

იღებს შინაგან სნეულ. ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, [illegible] № 4. (თ.—302—)

ექიმი ე. ლ. შალამბერიძე

იღებს ბავშვთა და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

ქვირას, მკათათვის 9-ს, დილის 10 საათზე, ქართულ გიმნაზიის შენობაში მოხდება

ქართულ სავარჯიშო საზოგადოების „ამირანის"

დაარსება.

საზოგადოების წევრთ და თანამგრძნობ პირთ საზოგადოება სთხოვს დაესწრნენ ქართულ ვარჯიშობის პირველ ბრწყინვალე დღესასწაულს.

იქვე მოხდება ახალ წევრთა ჩაწერა და მიღება.

3—762—2

ქართველთა მხედართა კავშირის კომიტეტი.

მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ქუთაისის გაზეთზე

1917 წ. ჩვენი ქვეყანა 1917 წ.

გაზეთის ფასი: წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 1 მან. და 50 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილადაც გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5, სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მანეთი და დანარჩენიც სექტემბრის დამლევამდი.

რედაქციის მისამართი: ქუთაისი, თბილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახ., კანტორა ღიაა: დილით 9—2 საათ. და საღამ. 5—8-მდი.

რედაქტორი დ. კვირკველია.

**თბილისი, მკათათვის 8.**

## უკრაინის მეორე „უნივერსალი"

უკრაინის ცენტრალმა რადამ ახალი „უნივერსალი" გამოაცხადა. იგი საკმაოდ განსხვავდება იმ პირველისაგან, რომელიც რადამ წინედ გამოაცხადა და რომლითაც უკრაინაში თავის ავტონომიურ გამგებლობას ამყარებდა. მაშინ იგი ამბობდა, რომ ვინაიდგან მთავრობამ არ შეიწყნარა უკრაინის ერის მოთხოვნილებანი და „საჭიროდ არა სცნო ეთქვა—სცნობს თუ არა ჩვენი ხალხის უფლებას ავტონომიაზე, პასუხი არ მოგვცა და დამფუძნებელ კრების ანაბარა დაგვტოვა—ჩვენ ვაცხადებთ, რომ ამიერიდან ჩვენს საქმეს ჩვენვე გავუძღვებითო."

უკრაინის რადა აცხადებდა, რომ საორგანიზაციო მუშაობის დამთავრების შემდეგ იგი თავის დამფუძნებელ ყრილობას მოიწვევდა, რომელიც უკრაინის მომავალ წეს-წყობილებას და კანონებს შეიმუშავებდა.

ეს აქტი კონფლიქტის შემდეგ გამოცხადდა; მას შემდეგ, რაც უკრაინისა და დროებით მთავრობის გზები ერთმანეთს განშორდნენ.

აქედან ნათელია, რომ იქ უფლებანიც და ამ უფლებებზედ დამყარებული მისწრაფებანიც სრულიად იქნებოდნენ აღიარებულნი, რადგან მათი შეკვეცა, თუ შერიგება არ ხდებოდა, უმიზეზო იქნებოდა.

მეორე აქტი, რომლის ტექსტი დღეს გადმოგვცა დეპეშათა სააგენტომ დამყარებულია იმ შერიგებაზედ, რომელიც უკვე მოხდა რუსეთის ცენტრალ მთავრობასა და უკრაინის რადის შორის. როგორც ასეთი, ის, რასაკვირველია, კომპრომისულია, მაგრამ კომპრომისი მაინც ნაწილობრივი, სადაც მეტია მიღწევა თავის მოთხოვნილებებში და მნიშვნელოვანი დათმობა ცენტრალ მთავრობის მიერ.

„უნივერსალი" კატეგორიულად უარჰყოფს უკრაინის მიერ რუსეთის დამფუძნებელ კრებამდე ავტონომიის თვითნებურ განხორციელებას, მაგრამ მხედველობაშია მისაღები, რომ ავტონომიის განხორციელების გარანტია მან უკვე მიიღო, და მიიღო მას შემდეგ, რაც შესაძლებლად სცნო მისი თვითნებური განხორციელება და ამ მიზნისთვის თავის ძალთა სრული მობილიზაცია მოახდინა.

უკრაინა დასთანხმდა, რომ უმაღლესი სამხედრო ავტორიტეტი და ინიციატივა ცენტრალ მთავრობის სააგენტოს ქონდეს მიკუთვნილი, მაგრამ მას ეყოლება საკუთარი ჯარი, რომლის წარმომადგენელი ყველა სამხედრო ორგანოებთან იქნება და შეძლება ექნება თავის განსაკუთრებული კორექტივებიც შეიტანოს საერთო სტრატეგიაში და თანაც ფრიად ხელსაყრელ პირობებში, როდესაც არავითარ პასუხისმგებას მისთვის არ გაიზიარებს, როგორც ერი სრომო ინიციატივას მოკლებული.

„უნივერსალში" აღნიშნულია ერთი მუხლი, რომელიც უთუოდ კომპრომისულია და ამცირებს უკრაინის სახელმწიფოებრიობას, სახელდობრ ის, რომ გენერალ-სეკრეტარიატი მოქმედობს, როგორც დროებით მთავრობის ორგანო და როგორც ასეთი ის თუმცა ალკურვილია დროებით მთავრობის სრულ უფლებიანობით მაგრამ მაინც ეს უფლებრივი მომენტი არის დროებითი, ვიდრე დამფუძნებელ კრების შემდეგ აღიარებულ იქნება თვით უკრაინის სუვერენობა და უკრაინის აღმასრულებელ ორგანოს ცენტრალ მთავრობაზედ მეტი ავტორიტეტი ექნება მინიჭებული თვით უკრაინის ერის მიერ. დღეს-დღეობით კი მაინც დიდი წარმატებაა უკრაინის მიერ თავის სახელმწიფოებრივ უფლებიანობის მოპოებაში.

თავის შინაურ გამგებლობისთვის მას უკვე აქვს შედგენილი თავისი კანონმდებელი სეიმი—ცენტრალი რადა, თავისი აღმასრულებელი ორგანოც გენერალ-სეკრეტარიატი და რასაკვირველია, სამართალიც ადგილობრივ მოწესრიგებული.

ამრიგად ის სამივე ელემენტი, რომელსაც სახელმწიფოებრივი უფლება გულისხმობს, უკრაინას მიკუთვნილი აქვს და მის სახელმწიფოებრივ ცხოვრებას ამტკიცებს. ის ფაქტიც, რომ მის უმაღლეს ორგანოებში წარმოდგენილი იქნება სხვა უკრაინის ტერიტორიაზედ მოსახლე ეროვნებანიც, კიდევ უფრო ასრულებს მის სახელმწიფოებრიობას, რადგან პრინციპი ეროვნული ტერიტორიალ პრინციპით ფართოვდება.

უკრაინის საკითხი დღეს გარდაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს. მან მოიპოვა თავისი უფლებანი და ამ მოპოებულის განმტკიცება უზრუნველყოფილი აქვს.

## სომხური პრესა

**„ჰაიასტანი" და საქართველოს ისტორიული საზღვრები.**

სომხურ გაზეთ „ჰაიასტანში", ოსმალოს სომეხთა ორგანოში, წერილია მოთავსებული შესახებ გრიგოლ ვეშაპელის სტატიისა, რომელიც გაზეთ „რესპუბლიკის" პირველ ნომერში იყო დაბეჭდილი.

„ჰაიასტანი" სწერს:

ჩვენ, რომელნიც ოსმალოს სომხების საკითხის გადაჭრას ვეცდით, არასოდეს არ გვიფიქრია, რომ ეროვნული პოლიტიკური იდეალები ჩვენი მეზობლების წინააღმდეგი იქნებოდენ ასეთივე ჩვენი ერის იდეალების...

იმ უთანხმოებას, რომელნიც იყვნენ ჩვენ შორის მიწის, საკლესიო, საერთო სახელმწიფოებრივ საკითხის შესახებ თუ ადგილობრივი თვითმართველობების შესახებ, არასოდეს არ შეეძლოთ ყოფილიყვნენ იმის მიზეზები, რომ ქართველთა ეროვნულ-პოლიტიკური იდეალები ემუქრებიან ოსმალოს სომხების ეროვნულ-პოლიტიკურ იდეალებს.

სომეხთა საკითხი უმთავრესად კი ოსმალოს სომეხთა საკითხი არსები-

თად საერთაშორისოა და არამც და არამც არ შეიძლება მარტო რუსეთის საკითხი იყოს და ამიტომაც მას არ შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს ქართულ საკითხს და დაემუქროს მას.

**რაც შეეხება ისტორიული საზღვრების განმარტებას, ეს საკითხი ჩვენის აზრით სამშვიდობო კონგრესზე გადაიჭრება, ისტორიული ფაქტების მიხედვითო.** ისტორიას სიმართლის მეტი არაფერი არ უყვარს. ისტორია არაფერს არ დაამახინჯებს. ჩვენ, რომელნიც ვიცნობთ ოსმალეთის სომხების განთავისუფლებას, ვეთანხმებით ბ-ნ ვე შაპელს იმაში, რომ ეროვნული იდეალები ორი პაწია ერის ერთი მეორეს ვერ დაშორდებიან და არც შეუძლიათ ერთი მეორეს ეწინააღმდეგებოდენ.

გაუმარჯოს თავისუფალ განთავისუფლებულ ერებს".

რომ დღიდან ქალაქთა საბჭოს დაარსებისა აღმასრულებელ კომიტეტთა მოქმედება უნდა შეწყვეტილ იქმნეს.

**დანელების პრესა რუსეთის კაბინეთის შესახებ.**

**კოპენჰაგენი.** მკათათვის 5. ადგილობრივი პრესა მანუილოვის და შინგარევის გასვლით კაბინეთს სოციალისტურად აღიარებს. რუსეთის ძალა ახალა დეპუტატების საბჭოში გადავიდა, რომელიც დამფუძნებელ ყრილობის მოწვევამდე რუსეთის პარლამენტად იქცევაო.

# ომი და ზავი

## დეპეშები

**მთავარ ბანაკის ცნობა.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 6. ოფიცალი. **დასავლეთის ფრონტი.** კალუშის სამხრეთით წუხელ ჩვენებმა სოფ. ნოვიცა დაიჭირეს, მაგრამ დიდი ზარალიც ნახეს. მტრის ორი იერიში მოვიგერიეთ. მკათათვის 4-ს ნოვიცათან ბრძოლაში ჩვენ 3 ტყვიისმფრქვეველი, 8 ოფიცერი და 220 ჯარისკაცი ჩავიგდეთ ხელში.

**რუმინეთის ფრონტი.** სროლაა.

**კავკასიის ფრონტი.** პეტრა კალეს 15 ვერსზე მდებარე თურქების 3 საყარაულოზე ჩვენმა მზვერავებმა იერიში მიიტანეს. წამოიყვანეს რამოდენიმე ტყვე მოკარტუმ დარასის ხიდი დასწვეს.

**მფრინავთა მოქმედება.** ვორონოვიჩის მიმართულებით მტრის მფრინავებმა ჩვენი აეროსტატი დასწვა. ჰაეროსტატზე მყოფნი გადარჩნენ. ლვოვის მიმართულებით ჩვენს მახლობლად მტრის მფრინავი დაეშვა. ავიატორი დავატყვევეთ, მფრინავი არ დაზიანებულა. მონასტერინსკოში მტრის მფრინავებმა 20 ყუმბარა ჩამოაგდეს.

**საფრანგეთის ბანაკის ცნობა.**

**პარიზი.** მკათვის 3 (დაგვიანებულია) ოფიციალი. გუშინ სერნისა და აილის რაიონებში, კალიფორნიის ზეგანზე და შამპანში ორთავე მხრიდან არტილერია ჰმოქმედებდა. მთა ტეტონის ჩრდილოეთით მტერმა ჩვენი სანგრების ზოგიერთა ნაწილები დაიჭირა. მონგოს რაიონში ჩვენ გაცხარებული ბრძოლის შემდეგ ასპარეზი გავამაგრეთ. მაასის მარცხენა ნაპირზე სიმაღლე „304" დასავლეთით გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა. მტერს თიბათვის 16-ში დაჭერილი ჩვენი თხრილები წავართვით და მტრის ასპარეზიც 2,500 მეტრის მანძილზე დავიჭირეთ. მდ. ენიდონ-მალამჯურამდე. ხელთ ვიგდეთ მტრის პირველ და მეორე წყების მოსაგერებელი ხაზები. მტრის ხშირ კონტრ იერიშებს მხოლოდ ზარალი მოაქვთ მათთვის. ჩვენ ხელთ ვიგდეთ 425 ტყვე, მათში 8 ოფიცერია.

**იტალიის ბანაკის ცნობა.**

**რომი.** მკათათვის 4. ოფიციალი. კოლბრიკონეს მეორე მწვერვალზე ნაღმით მტრის გალერეია და რამდენიმე მნიშვნელოვანი სიმაგრე ავაფეთქეთ. მტრის პატრულები მოვიგერიეთ.

**ახლო აღმოსავლეთი.**

**პარიზი.** მკათათვის 3. მონასტირის ჩრდილო - დასავლეთით, ვარდარის ფრონტზე მტრის არტილერია ჩვენ სანგრებს ყუმბარას უშენდა. ჩერვენასტენასთან თავდასხმა მოვიგერიეთ.

**ზღვაზე.**

**ლონდონი.** მკათათვის 4. საადმირალო იუწყება: ჩრდილო ზღვაში საზ. ღვაო რაზმა 4 გემი და 2 გემის შემადგენლობა შეიპყრო. 2 სხვა გემიც საგრძნობლადაა დაზიანებული.

**რუსთა დესანტი დუნაკვიცაზედ.**

**ოდესა.** მკათათვის 5. სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ჩვენი დესანტი რიცხვით 50 კაცი, დუნაეცოზედ გადავიდაო. ჩვენი მეომრების გადასვლა ისე მოულოდნელი იყო მტრისათვის, რომ 600 ავსტრიელზედ მეტი ივლტოდა. წამოვიღეთ იარაღი, ტყვიისმფრქვეველი და ხელის სასროლი გრანატები.

**სიკვდილის ბატალიონს ფრონტზე მგზავნიან.**

**მინსკი.** მკათათვის 5. ფრონტისა და ქალაქის შეერთებულმა საბჭომ პეტროგრადში მომხდარ ამბების გამო მინსკის მდგომარეობაზე მსჯელობა იქონია. ჯარის წარმომადგენლებმა გამოარკვიეს რომ მდგომარეობა სახიფათოა. ყრილობამ სურვილი გამოსთქვა, რომ რაც შეიძლება მალე მიაშველოს ფრონტს „სიკვდილის ბატალიონი".

**ეროვნული გვარდია.**

**ნიუ-იორკი.** მკათათვის 4. სამხედრო მინისტრმა ბეკკერმა განაცხადა, რომ ეროვნულ გვარდიის სამობილიზაციო ჯარები 10 დღის განმავლობაში დაიძვრებიანო.

**ზავის რეზოლიუცია რეიხსტაგში.**

**სტოკჰოლმი.** მკათათვის 6. ბერლინიდან იუწყებიან, რომ რეიხსტაგის გახსნას მოუთმენლად მოელიან. გადაწყვეტილია, რომ ზავის შესახებ რეზოლუცია წამოყენებულ იქმნას კენჭის საყრელად. ფრაქციის სხდომებზედ, რეზოლუციისთვის ხმას იძლეოდნენ პროგრესისტები და ცენტრი. ამბობენ, რომ რეზოლიუციის მიღება სხდომაზე უმრავლესობით უზრუნველყოფილიაო.

**მილოცვა რუსეთის ლაშქარს.**

**ლონდონი.** მკათათვის 5. რუსთა შეერთიანებულ საზოგადოებათა თავმჯდომარემ ლორდ კარონეემა დეპეშით სთხოვა ინგლისის ელჩს პეტროგრადში—რუს-ინგლისელთა ადგილობრივ საზოგადოებას მილოცვა გადაეცით რუსთა შეტევის გამოო.

**ყუმბარების პოვნის გამო.**

**სტოკჰოლმი.** მკათათვის 5. ვოლფის ბიურო ქრისტიანიაში ყუმბარების პოვნის გამო ნორვეგიის ნოტიდან ამონაწერს ავრცელებს. ამ ამონაწერს იგი თან ურთავს აგრეთვე გერმანელების საპასუხო ნოტის ამონაწერს. ამას წინად ეს საპასუხო ნოტა ნორვეგიის დეპეშითა სააგენტომ გამოაქვეყნა. გერმანეთის გაზეთებს მხოლოდ მოკლე ამონაწერის დაბეჭდვის ნება მისცეს. აქამდის კი მარტო ნორვეგიელთა საპასუხო ნოტის დაბეჭდვა შეეძლოთ.

**სტოკჰოლმის კონფერენციის სამზადისში.**

**სტოკჰოლმი.** მკათათვის 5. რუს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს 4 წევრი ლონდონში მივიდა. საზონოვი სტოკჰოლმში დარჩა კონფერენციის მოსამზადებელ მუშაობის სახელმძღვანელოდ.

**ბალკანეთის საკითხი თემთა პალატაში**

**ლონდონი.** მკათათვის 5. თემთა პალატაში თიბათვის 18 გარეშე საქმეთა მინისტრს ლინჩმა შემდეგის შეკითხვით მიჰმართა: ბალკანეთის სამხედრო მოქმედებათა საკითხის განხილველად აზრად გაქვთ თუ არა რუსეთისა და შეერთებულ შტატების მოწვევაო, უზრუნველ ჰყოფთ თუ არა ბერძენ ერის თავის სურვილზე მართველობის ამორჩევის უფლებასო. სესილმა უპასუხა: ჩემის აზრით საბერძნეთის მომავალ მოწყობის შესახებ ყოველივე ზრუნვა საბერძნეთის მთავრობამ უნდა მიიღოს და არა ბრიტანეთისამაო.

**ბუენოს-აირესი.** მკათათვის 5. არგენტინასა და გერმანეთს შორის განხეთქილება აუცილებელია.

# რევოლუცია

## დეპეშები

**დამფუძნებელ კრებისთვის.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 5. მოსკოვში შანიფსკის უნივერსიტეტთან სოფლის საზოგადოებათა და სამაზრო ერობისა და აგრეთვე ქალაქის საბჭოთა და დამფუძნებელ კრების წევრთა საარჩევნოდ ინსტრუქტორების კურსები არსდება. მსმენელები სამ ჯგუფად დაიყოფიან. პირველი ჯგუფი სწავლას მკათათვის 5-დან დაიწყებს, მე 2-ე 12-დან და მე-3-ეც 20-დან.

**ტეხნიკოსთა დეპეშა.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 5. ფოსტის სამინისტროს ტეხნიკოსთა საბჭომ მუშათა და ჯ.-კ. აღმასრულებელ კომიტეტს დეპეშა გაუგზავნა, სადაც ტეხნიკოსები აცხადებენ, რომ ისინი არავითარ გაფიცვას არ ფიქრობენ და მოღალატეთ სთვლიან იმათ ვინც მომენტის სირთულე'ს სარგებლობს და ყალბ ხმებს ავრცელებს.

**სრულიად რუსეთის ბერძენთა ყრილობა**

**ტაგანროგი.** მკათათვის 3. (დაგვიანებულია). დაიწყო სრულიად რუსეთის ბერძენთა ყრილობა რუსეთში. ბერძენ ახალშენთა ეკონომიურ და კულტურულ საგანმანათლებლო საკითხების გადასაწყვეტად.

**პეტროგრადი.** მკათათვის 5. შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაადგინა,

# პეტროგრადის ამბები

**დაწყნარება.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 5. საოლქო შტაბის ცნობით, პეტროგრადში მომხდარი უწესოება უკვე შეწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს.

**აღმ. კომიტეტის რეზოლიუცია**

**პეტროგრადი.** მკათათვის 5. მუშათა და ჯარისკაცთა აღმასრულებელ კომიტეტების შეერთებულმა სხდომამ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: კადეტების სამინისტროდან გამოსვლამ არ უნდა გამოიწვიოს სამინისტროს დაცემა და არც რევოლიუციონურმა დემოკრატიამ უნდა მოაკლოს მხრის დაჭერა. სამინისტრო კრიზისი მხოლოდ იმის მაჩვენებელია რომ გადახედილი უნდა იყოს დამოკიდებულ ორგანიზაციულ მთავრობისა დღევანდელ მომენტთან. ამისთვის კი აუცილებელია მუშათა და ჯარისკაცთა აღმასრულებელ კომიტეტების ყრილობა და ამიტომ ორი კვირის შემდეგ მოწვეულ უნდა იქნეს სრული ყრილობა მუშათა და ჯარისკაცთა აღმასრულებელ კომიტეტებისა. სანამდე აღმ. კომიტეტი ახალ დადგენილებას გამოსცემდეს მანამდე ძალა და უფლება დღევანდელ დროებით მთავრობის ხელში უნდა დარჩეს.

**თავრიდის სასახლეს დაცვა.**

წუხელის და მკათათვის 5-ს დილით თავრიდის სასახლეს იცავდენ სემიონოვის, პეტროგრადის, იზმაილოვის და ეგერთა პოლკები. მათ სიტყვებით მიმართეს ჩხეიძემ, სკობელევმა და ავქსენტიევმა. უკანასკნელების სიტყვებს ჯარი „ურას" ძახილით ჰფარავდა. ამ ჟამად თავრიდის სასახლეში მშვიდობიანობაა.

**იარაღის აყრა და დაპატიმრება.**

საოლქო შტაბში დღის განმავლობაში შეუწყვეტლივ მოჰყავდათ ქუჩებში დაპატიმრებულნი მეზღვაურები, ჯარისკაცები და მუშები. იქვე დაარსებული საგამომძიებლო კომისია მათ ჩვენებასართმევდა. შტაბში მოჰქონდათ ჩამორთმეული ტყვიისმფრქვეველები, თოფები და პატრონები. შტაბი განუწყვეტლივ იძლეოდა განკარგულებებს ქალაქის დასამშვიდებლად. გზათა მინისტრად ნამყოფი ნეკრასოვი დროებით მთავრობის რწმუნებულად რჩება საოლქო შტაბში აღმასრულებელ კომიტეტის წევრებთან და გენერალ პოლოვცევთან ერთად. მთელ დღეს მთავრობის ჯარი იარაღს ართმევდა ჯანყებულებს და მათ ავტომობილებს. ერთ დატყვევებულ ავტომობილზე ბოლშევიკი ბოგდატიევი აღმოჩნდა. ოლქის შტაბში ბოგდატიევმა განაცხადა, რომ მონაწილეობას ღებულობდა შეიარაღებულ აჯანყებაში და ცოტად თუ ბევრად აჯანყების ორგანიზატორი იყო. ბოგდატიევი დაპატიმრებულია.

**დამოკიდებულება დროებით მთავრობასთან**

მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოების შეერთებულმა ცენტრალმა ბიურომ მკათათვის 5 შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა: ვეთანხმებით რა დროებით მთავრობას, რომ ყველა მიმართულებათა პარტიები უნდა შეთანხმდენ რევოლიუციონურ წესრიგის აღსადგენად პეტრაგრადის ოლქში, ცენტრალი კომიტეტის ბიურო ავალებს ბ. ბ. გოცს და ავქსენტიევს დროებით მთავრობასთან მჭიდრო კავშირი იქონიონ სამხედრო კომისიასთან დადებულ კონტაქტის ძალის შესანარჩუნებლად. (დასასრული ჯერ არ მოსულა).

# ეროვნული საკითხი

## უკრაინა.

**კათედრები უკრაინულ ენაზე.**

**კიევი.** მკათათვის 5. მომავალ აკადემიურ წლიდან უნივერსიტეტში უკრაინულ ენაზე კათედრები დაარსდება. ისტორიულ-ფილოლოგიურზე— ლიტერატურისა და ისტორიისა, იურიდიულზე—დასავლეთ-რუსულ უფლების ისტორიისა.

**ციმბირის უკრაინელები.**

**კიევი.** მკათათვის 5. ციმბირში მცხოვრებ უკრაინელებმა, გაიგეს რა უკრაინის ავტონომიის გამოცხადება, ცენტრალ რადის მიწის საქმეთა მთავარ მდივანს გადმოსახლების სურვილი შეატყობინეს. მდივანმა შეატყობინა, რომ ავტონომია ჯერ არ განხორციელებულა და გთხოვთ ჯერ მანდ დარჩეთო, რადგან უდროულოდ დაბრუნებით იქნებ ჩინაც დაჰკარგოთ და საშუაოცაო. მათ საკითხს ავტონომიის ცხოვრებაში გატარებასთან ერთად განიხილავენ.

**ფინეთის დამოუკიდებლობა.**

**ჰელსინგფორსი.** მკათათვის 5. ფინეთის დამოუკიდებლობის პროექტის მესამე წაკითხვა გადადებულია მომავალ ორშაბათის სალამოსთვის. მდგომარეობა უცვლელად დარჩა. შეგნებულ წრეებში გადაუწყვეტიათ პროექტის მიღება. საკითხი მხოლოდ მაშ მდგომარეობს,—მიღებულ იქმნება იგი კონსტიტუციის შენახვით თუ სეიმის უმრავლესობა არ ისურვებს ანგარიშის გაწევას ძირითად კანონების მოთხოვნილებებს. უკანასკნელ შემთხვევაში კანონი რევოლუციურ აქტად ჩაითვლება; პროექტის მიღებისათვის საჭიროა დროებით მთავრობის მიერ დადასტურდება. ამით, რასაკვირველია დაიწყება მოლაპარაკება, რომელიც ორივე მხარეს დათმობამდის მიიყვანს.

**უკრაინის ახალი უნივერსალი.**

**კიევი.** მკათათვის 3. (დაგვიანებულია) უკრაინის ცენტრალ რადამ შემდეგი უნივერსალი გამოაქვეყნა: „უკრაინის მოქალაქენო! დროებით მთავრობის წარმომადგენელმა გვაცნობა ის კონკრეტული ზომები, რომლის შემოღებასაც აპირებს უკრაინის მმართველობაში დროებითი მთავრობა დამფუძნებელ ყრილობამდე. ჩვენ, ცენტრალი რადა თავიდანვე ვადგივართ იმ აზრს, რომ არასოდეს არ გამოეყოთ უკრაინა რუსეთიდან, რათა ყველა ერებთან ერთად ვიზრუნოთ რუსეთის საკეთილდღეოდ. უკრაინის ცენტრალი რადა უკრაინის ერის მიერ ამორჩეული რევოლიუციონური ორგანიზაციით სახით, ახლახან შევსებული იქნება უკრაინაში მცხოვრებ სხვა ეროვნებათა წარმომადგენელთაგან და მაშინ იქნება იგი, რევოლიუციონური უკრაინის უმაღლეს ორგანოდ, რომელიც შექმნება უკრაინის მცხოვრებთა ინტერესების გამომხატველი. შევსებული ცენტრალი რადა გამოჰყოფს თავის მიერ გენერალ სეკრეტარიატს, რომელიც დროებით მთავრობას დასამტკიცებლად წარედგინება. ამ ორგანოში თავს მოიყრის ყველა უფლება და საშუალება, რომ ის როგორც სრულიად უკრაინის დემოკრატიის გამომხატველი და როგორც უმაღლესი საოლქო ორგანო მმართველობისა, შესძლებდეს რთულ მუშაობის შესრულებას, ადგილობრივ ცხოვრების მოწესრიგებას სრულიად რევოლიუციონურ რუსეთის და უკრაინის სხვა ეროვნებასთან ერთად თანხმობით—ვაღიარებთ რა, რომ რუსეთში მოსახლე ერთა სული დაკავშირებულია რევოლიუციის შესარჩენათ, ჩვენ გადაჭრით უარს ვყოფთ დამოუკიდებლივ განვახორციელოთ ჩვენი ავტონომია დამფუძნებელ კრების გარეშე. ხოლო რაც შეეხება უკრაინელ ჯარს, ჩვენ წარმომადგენლები გვეყოლება სამხედრო მინისტრის კაბინეთში, მთავარ შტაბში და მთავარ სარდალთან და ეს წარმომადგენელნი მიიღებენ მონაწილეობას უკრაინელ ჯარის შედგენაში იმდენად, რამდენადაც ეს შედგენა სამხედრო მინისტრის განმარტებით, ჯარს ხელს არ შეუშლის. ვაცხადებთ რა ყველა ამას, ჩვენ გვრწამს, რომ უკრაინის დემოკრატია, რომელმაც ქვეყანის ბედი ჩვენ ჩაგვაბარა, ყოველ ღონეს იღონებს, რათა ქვეყანა რევოლიუციის გამარჯვებამდის მიიყვანოს.

# რუსეთი და უცხოეთი

**სარდარ რეშიდის მოკვლა**

**თავრიზი.** მკათათვის 5. თეირანიდან ზენჯანისკენ მიმავალს გზაზედ, 3 სროლით მოკლეს აზერბეიჯანის გენერალ-გუბერნატორი სარდარ-რეშიდი. მკვლელი მიიმალა.

**გადასახადი შემოსავლის კვალობაზე საფრანგეთში**

**პარიზი.** მკათათვის 5. დეპუტატთა პალატამ მიიღო კანონ-პროექტი გადასახადისა შემოსავლის კვალობაზე.

**ბიუკენენის დახასიათება**

**ლონდონი.** მკათათვის 5. თემთა პალატაში, დიპლომატიურ კორპუსის რეფორმათა შესახებ ლაპარაკის დროს გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა განაცხადა: ჩვენ მეტად კმაყოფილნი ვართ, რომ რუსეთში გაგზავნილი ჩვენი ელჩი ბიუკენენი მეტად გამოჩენილი დიპლომატი მოღვაწეა, და ამასთან ერთად, სწორი და შეუპოვარ ხასიათის კაცი.

**თავდასხმა კლუბში**

**მოსკოვი.** მკათათვის 5. წუხელ ღამით ვაჭართა კლუბში შეცვივდენ 30 ბოროტ-განზრახველი ჯარის კაცების და ოფიცრების ტანთსაცმლებში გამოწყობილი და ქაღალდის მოთამაშეებს მივარდნენ—„მაღლა ხელებიო"—დაუყვირეს. რაც კი რამ მოეძებნებოდათ ქაღალდის მოთამაშეებს: ფული, საფულეები, საათები, პორტ-სიგარები ჩამოართვეს. საერთო ჯამი წაღებულისა სამასი-ათას მანეთზე მეტია. ბოროტ-განზრახველთა უმრავლესობამ თავს უშველა. ერთი მილიციონერი და კლუბის რამდენიმე სტუმარი დაჭრილია.

**ჩინეთის მონარქიის აღდგენის გაცრუება**

**პეკინი.** მკათათვის 3. (დაგვიანებულია) მონარქიის აღდგენის იმედი გაცრუვდა. ჩუანსიუნის ჯარები ფულის საჩუქარზე დათანხმდნენ. განახლებულმა პარტიამ გამოურკვეველი მდგომარეობა შექმნა.

**ახალი კაბინეთი**

**იასა.** მკათათვის 2. (დაგვიანებულია) მეფემ წინადადება მისცა ბრატიანუს ახალ კაბინეთის შესადგენად. პარლამენტის სესია ენკენისთვის 15-დე გრძელდება.

**გერმანელები ჩინეთში მონარქიის აღდგენას ცდილობდნენ**

**ლონდონი.** მკათათვის 5. მკათათვის 4 ს თემთა პალატაში ლინჩი გარეშე საქმეთა მინისტრს შეეკითხა: გაქვთ თუ არა ოფიციალი ცნობები იმის შესახებ, რომ ჩინეთში მონარქიის აღდგენა გერმანელების ფულით იყო მოწყობილიო. სესილმა უპასუხა: გერმანელები რომ რესტავრაციას ფულს აწვდიდნენ ამაზე ცნობები გვაქვს მიღებული, მაგრამ მათი სინამდვილის დამტკიცება კი—ჯერ არ მიგვიღიაო.

**ინგლისის ახალი მინისტრები**

**ლონდონი.** მკათათვის 5. ოფიციალი ცნობაა, რომ სამხედრო კაბინეტის წევრად დაინიშნა კარსონი, ედისონი —უპორტფელო მინისტრად, ინდოეთის საქმეთა სტატს-სეკრეტრად მონტეგიუ და საადმირალოს პირველ ლორდათ—სერ ერიკ ჯედსი.

# საქართველოს ავტონომია*)

(დასასრული)

**აღმასრულებელი ძალა**

აღმასრულებელი ძალა არის მეორე მნიშვნელოვანი ელემენტი სახელმწიფოებრივ უფლებათა. კანონებს არა მარტო შემუშავება და გამოცემა უნდა, უნდა კიდევ აღმასრულებელი ორგანოები.

აღმასრულებელი ძალა რესპუბლიკაში პრეზიდენტის ხელშია. იგი არის თავი და წარმომადგენელი სახელმწიფოისა, იგი იწვევს საკანონმდებლო საკრებულოს, აწყობს სამინისტროებს, ჰნიშნავს მოხელეებს, აქვს მიწერ-მოწერა და განწყობილება სხვა სახელმწიფოებთან და სხვა.

ჩრდილო ამერიკის შტატებში აღმასრულებელი ძალა აბარია გენერალ-გუბერნატორს, რომელსაც ირჩევს ხალხი ან უფრო ხშირად ხალხის წარმომადგენლობა, ერთიდან ოთხი წლის ვადით.

შვეიცარიის კანტონებში ასეთი წარმომადგენელი აღმასრულებელ ძალისა სულ არ არის.

იქ ირჩევენ პირდაპირ რამოდენიმე მინისტრებს და იმათ ევალებათ ყოველი საქმის მართვა-გამგეობა.

ფინეთში აქამდი ინიშნებოდა რუსეთის მთავრობის მიერ ფინეთის გენერალ-გუბერნატორი და მართვა-გამგეობის სათავეში უდგა ფინეთის სენატი მისი დეპარტამენტებით. ამისთანა ორჭოფობამ ბევრი სიმწვავე გამოიწვია ფინეთში და ჩვენც გვერდი უნდა აუხვიოთ უფლების ისეთ ორგანიზაციას, რომელიც ამისთანა სიმწვავეს და არევ-დარევას გამოიწვევს.

ამიტომ უნდა დავადგეთ სხვა გზას: ავტონომიის თავმჯდომარე და წარმომადგენელი უნდა იყოს არჩეული ხალხის წარმომადგენლობის მიერ და პასუხისმგებელი იმის წინაშე;

უნდა მოეწყოს საქართველოში სამინისტრო: შინაგან საქმეთა, საფინანსო, სამართველოისა, ხალხის განათლებისა, შრომისა, მიწად-მოქმედებისა, სამხედრო და შეიძლება ზოგიერთი სხვაც, თუ ამას საჭიროება მოითხოვს.

**სამართალი**

სამართალი შეადგენს მესამე ელემენტს, სახელმწიფოებრივ უფლებისას. სამართალის ადგილობრივ მოწყობას ეხლაც შეუდგნენ და აქ დიდი შეწორების შეტანა შეიძლება არც კი დაგვჭირდეს. მცირე და ყოველდღიურ საქმეებისთვის ყველგან შემოღებულია მომრიგებელი მოსამართლე, რომელსაც ირჩევს ადგილობრივი ხალხის წარმომადგენლობა, ე. ი. საქალაქო ან სასოფლო თვითმართველობა. უფრო ძვირფასიანი და მნიშვნელოვანი საქმისათვის არიან სამი საოლქო სასამართლოები და სამოსამართლო პალატა, როგორც მეორე ინსტანცია ამ საქმეებისათვის. უმაღლესი სამოსამართლო დაწესებულება იქნება საქართველოს სენატი ქ. თბილისში.

ამ დაწესებულებას აქვს დიდი მნიშვნელობა, თითქმის იმოდენავე, როგორც კანონმდებითი უფლებას. იმან უნდა გაატაროს ცხოვრებაში მიღებული კანონმდებლობა, ახსნას და განმარტოს იგი და დაამყაროს ერთნაირი უფლებრივი წესი და მიმართულება. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს თვით უფლების შემეცნების გასაღრმავებლად და კულტურულ წინსვლელობისათვის.

**განწყობილება რუსეთთან**

ამნაირად ჩვენ მივიღებთ საქართველოს, როგორც დამოკიდებულ სახელმწიფოებრივ ერთეულს. მისი ტერიტორია იქნება უფლებრივად შემოხაზული, მისი კანონმდებლობა, მართვა-გამგეობა, ხარჯის აკრეფა და სამართალი—განსაზღვრული, დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული და თავისუფალი.

აქ იბადება საკითხად, რაში და როგორ უნდა გამოიხატოს საურთიერთო განწყობილება საქართველოს და რუსეთის შორის?

ეს საგანი სხვა და სხვა ქვეყნებში სხვა და სხვა ნაირად არის მოწყობილი.

ფინეთის შესახებ, მაგალითად, ჩვენ ვიცით, რომ იყო სტატს-სეკრეტარი; ეს იყო თავისებური შუამავალი ფინეთის და რუსეთის შორის; ამას უნდა წარედგინა იმპერატორისათვის სეიმის მიერ მიღებული კანონები დასამტკიცებლად და შუამდგომლობა გაეწია იმპერატორის წინაშე ფინეთის საქმეების მოსაწესრიგებლად.

ინგლისისა და მისი თავისუფალი კოლონიების შორის სხვანაირად არის მოწყობილი დამოკიდებულება. ინგლისი მხოლოდ ჰნიშნავს გენერალ-გუბერნატორს, რომელსაც შეუძლიან დაადოს „ვეტო" ადგილობრივად მიღებულ კანონებს და შეაჩეროს მისი მოქმედება. თვითონ ინგლისსა აქვს იმისთანა უფლება; იმას შეუძლიან ორი წლის განმავლობაში შეაჩეროს ყოველი კანონი, ადგილობრივი პარლამენტის მიერ მიღებული, თუნდაც რომ გუბერნატორმა არცკი დაადოს ვეტო. ამავე დროს ყველა თავისუფალ ავტონომიებს ჰყავთ თავისი წარმომადგენელი ინგლისში— კომისარები. თავდაპირველად იგინი იყვნენ უბრალო აგენტები, მერე თან და თან მოიპოვეს დიპლომატიური და პოლიტიკური მნიშვნელობა და ეხლა ისეთივე როლს თამაშობენ, როგორც ავტონომიის ელჩები ინგლისის მთავრობის წინაშე.

უნგრეთის სამინისტროში შედის იგრეთვე წოდებული, უპორტფელო მინისტრი კროაციის და სლავიანიისა. იმის ეუფლება ყოველნაირი შუამდგომლობა და დაცვა კროაციის ავტონომიის ინტერესებისა.

ასე მოეწყობა თუ ისე, ეჭვი არ არის საქართველოს უნდა ჰყავდეს თავის წარმომადგენელი რუსეთის მთავრობაში, სულ ერთია იქნება იგი კომისარი, სტატს-სეკრეტარი თუ უპორტფელო მინისტრი. ვინაიდან საერთო არის საგარეო პოლიტიკა, საკითხი ომის და ზავისა და აგრეთვე საბიუჯეტო ხარჯი, აუცილებლად საჭიროა იქ იყოს ჩვენი კაცი, რომელიც დაიცავს ჩვენს ინტერესებს და შეათანხმებს მათ საერთოდ საიმპერიო მოთხოვნილებასთან.

ასეთი უნდა იყოს მოკლედ საქართველოს ავტონომია.

რუსეთის დიდმა რევოლუციამ და საერთაშორისო განწყობილებამ უკვე წამოაყენა ლოზუნგი ერთა განთავისუფლებასა. ამიტომ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ საქართველოსაც ელირსება განთავისუფლება.

გიორგი გვაზავა

*) მოხსენება წაკითხულია საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის დამფუძნებელ ყრილობაზედ.

# პეტროგრადში

## (პეტროგრადის საკუთარ კორესპონდენტისაგან)

### „პეტრე პავლეს ციხეს“ ხელში ჩაგდებას შეეცადნენ.

ჯარისკაცები და შეიარაღებული ხალხი „პეტრე პავლეს ციხისკენ“ გაემართნენ, სადაც დატუსაღებულნი არიან ძველი მთავრობის პირები და ყოფილი მინისტრები. ბრბოს ციხის აღება უნდოდა, მაგრამ გენერალ პოლოვცევის მიერ მიღებული სწრაფი ზომებით, მათი განზრახვა სისრულეში ვერ იქმნა მოყვანილი.

### მშვიდობიანობა მყარდება

ქუჩებში უკვე სიმშვიდე ჩამოვარდა. აქა იქ თუ გამოჩნდებიან მეამბოხენი, მაგრამ თანამგრძნობთ ვეღარ იხვეჭენ. იყო რამდენიმე შემთხვევა შეტაკებისა, მაგრამ გამარჯვება მაინც დროებით მთავრობის მომხრეებს დარჩათ. საერთოდ არეულობა დასრულებულად უნდა ჩაითვალოს.

### გაზეთების აზრი მომხდარ ამბების გამო.

თითქმის ყველა გაზეთები მხარს უჭერენ დროებით მთავრობის მიერ მიღებულ ზომებს და მის გამარჯვებას აღიარებენ. „ნოვაია ჟიზნი“ სწერს, რომ „რევოლუციისთვის საფრთხე მზადდება და მთავრობა ვალდებული იყო გამოეაშკარავებინა თავის ძალთა რაოდენობა. „რუსკაია ვოლიას“ აზრით, დადგა დრო, როდესაც მთავრობამ თავის ძალა-უფლება უნდა განახორციელოს და ყველა ზომები იქნეს მიღებული, რომ დამნაშავენი სასტიკად დაისაჯონ. გაზეთი აღიარებს, რომ არეულობა მესამე დღეს იქმნა დასრულებული და ხვალ ქალაქი უკვე ჩვეულებრივ ცხოვრებას შეუდგებაო. „დენი“ ამბობს, რომ „ბოლშევიკებმა“ მთელი რუსეთის წინაშე თავი შეირცხვინეს და ამ შერცხვენით გააძლიერეს დროებით მთავრობა, რომელმაც ამიერიდან უსასტიკესი ზომებით უნდა ებრძოლოს მათ ანარქიულ მიდრეკილებას.

### საქართველოს კათალიკოსის საცხოვრებელი ადგილი.

სინოდმა გადასწყვიტა, რომ თბილისისა და კავკასიის მიტროპოლიტის საცხოვრებელ ადგილად მიჩნეულ იქმნას თბილისი, ხოლო საქართველოს კათალიკოსის კი მცხეთა.

### მღელვარება უკრაინაში

კიევიდან იტყობინებიან, რომ უკრაინელ ჯარებმა ქალაქში მილიცია მოხსნეს და თავისი დარაჯები დააყენეს. მილიციის უფროსი და ქალაქის კომენდანტი დაატუსაღეს. სურდათ სახელმწიფო ბანკის ხელში ჩაგდება. სალამოს წესიერება აღდგენილ იქმნა.

### პერევერზოვის გადადგომა

პერევერზოვის წასვლა სამინისტროდან იმითი არის გამოწვეული, რომ ლენინის შესახებ გენერალური შტაბის ცნობების გამოქვეყნება სურდა. გენერალურ შტაბის ცნობით ლენინი გერმანიის დავალებას ისრულებს. სოციალისტი მინისტრები და ნეკრასოვი ამის გამოქვეყნების წინააღმდეგნი იყვნენ. პერევერზოვმა ეანაცხადა მაშინ, რომ მინისტრობას თავს ვანებებო.

# ქრონიკა

## თბილისი

◆ **მიხეილ ზანდუკელი,** მოსკოვის ქართველთა საზოგადოების თავმჯდომარე ამ ჟამად თბილისში იმყოფება.

◆ **მოქალაქეთა საყურადღებოდ.** თბილისის ქალაქის მილიციის უფროსი აცხადებს, რომ მუშ. და ჯ.-კაცთა სადეპუტატოების აღმასრულებელ კომიტეტების ღვინის სექცია მკათათვის 2-დან ღვინის ყიდვის ნებართვას აღარ აძლევს. ეს უფლება ისევ მილიციის უფროსის ხელში გადავიდა, ძველ საფუძვლებზე.

◆ **ქალაქის ლომბარდი** შუამდგომლობს ქალაქის გამგეობის წინაშე 500 ათას მანეთის სესხს.

◆ **ხოლერის ნიშნებით** თბილისში გუშინ ერთი კაცი მოკვდა. ამის გამო მოხდა სანიტარ ექიმების კრება. საჭიროდ სცნეს ყოველ დღე გამოკვლეულ იქმნას ავჭალის წყლის სადენის წყალი, გაძლიერებულ იქმნას სადეზინფექციო კამერათა მოსამსახურეების შტატი, დათვალიერებულ და გასუფთავებულ იქმნას მტკვრის ნაპირები, სასანიტარო დადგენილებათა დარღვევის ოქმები განხილულ იქმნას ყოველ რიგს გარეშე. ამასთანავე კრებამ საჭიროდ სცნო ღვინის გაყიდვის წესების უფრო გამარტივება, რადგანაც ღვინო კარგი საშუალებაა ხოლერის წინააღმდეგ და უფრო ადვილად უნდა შეიძლებოდეს ღვინის ყიდვა.

◆ **ქალაქის არჩევნები.** უკანასკნელ 3 დღის განმავლობაში თბილისის საოლქო სასამართლოსთან არსებულ საგამომძიებლო ნაწილში 72 საჩივარი შემოვიდა საარჩევნო სიების შეუტანლობის გამო. მომჩივნები თხოვნები „დაშნაკცუტუნების“ მიერ არის.

◆ **კლუბების ღამის 1 საათ. დახურვა.** მ. და ჯ. კ. დეპ. საბჭომ დაადგინა ყველა კლუბები ღამის 1-ლ საათზე დაიკეტოს.

◆ **ტრამვაის სადგურების მოხპობა.** ტრამვაის გასაჩერებელი სადგურები კლუბთან, რუსის კლუბთან, კრუჟოკთან, საკრებულოსთან—მოისპო. საარტისტო კლუბის სადგური გადატანილ იქმნება ქსენიევის ქუჩის კუთხეში.

◆ **ქ. შ. წ. კ. ს. განყოფილებათა** საპედაგოგიო კურსები, რომელიც ენკენისთვისთვის იყო დანიშნული თავის სკოლების მასწავლებლებისთვის, უფულობის გამო არ შესდგება.

◆ **დაჯარიმება.** მ. და ჯ.-კაცთა საბჭომ გადასწყვიტა, ეთხოვოს მილიციის უფროსს 3 დღის განმავლობაში გადაახდევინოს „კრუჟოკს“ 2000 მან. ღვინის ვაჭრობის გამო.

◆ **ლოტოს და ბანქოს თამაშობის აღკრძალვა.** ამავე საბჭომ ამიერიდან სასტიკად აღკრძალა ლოტოს თამაში. კლუბების გარდა რესტორანებშიაც აღიკრძალება ბანქოს თამაში.

◆ **შემოწირულება.** სათავად-აზნაურო ბანკის უკანასკნელ სხდომაზე დადგენილ იქმნა გადაეცეს „ჯარის კაცის“ ორგანიზაციას 10.000 მანეთი. საქართველოს საკათალიკოსოს 75.000 მანეთი და ადგილობრივ სამ პოლიტიკურ პარტიას 225.000 მანეთი.

◆ **გაზეთის ქაღალდის** ფასი დღითი-დღე მატულობს. ქაღალდის წარმოების სააქციონერო საზოგადოებამ „კიუმმენემ“ განაცხადა ამიერიდან ქაღალდის წარმოება 30 პროცენტით შემცირდება ჩვენს ქარხანაშიო. გაზეთის ქაღალდი, რომელიც წინად 2 მ. 40 კ. იყო, ეხლა 18 მან. ფასობს.

◆ **მეფურნეების გაფიცვის გამო.** მე-4 უბნის კომისარმა ყარაბეგოვმა გუშინ წინადადებით მიმართა მეფურნეებს, თუ რომ მეფურნე მუშების მოთხოვნილებანი არ დააკმაყოფილეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ფურნეები ჩამოერთმევათ და ქალაქს გადაეცემა. ასეთი შემთხვევა უკვე იყო. პუშკინის ქუჩაზედ მეფურნე კაპლიანს ფურნე ჩამოერთო, რაკი მან მეფურნე მუშების მოთხოვნილებანი არ დააკმაყოფილა.

## კავკასია

◆ **გვალვა.** ცნობებია, რომ მთლად ამიერ კავკასიაში დიდ გვალვამ იჩინა თავი. დიდს გასაჭირში ჩაცვივდნენ ელისავეტპოლის გუბერნიის ზოგიერთა მაზრები, უმთავრესად კი არეშის მაზრა, სადაც 50 სოფელს თითქმის სასმელი წყალიც აღარ მოეპოვება. ნათესისა და ბაბბის დარდი ხომ აღარავის აქვს. ბაღჩებს, ბაღებს და ვენახებს ხომ დიდი ზარალი მოელით. არეშის მაზრა კავკასიის ერთ კულტურულ კუთხედ იყო მიჩნეული, სადაც მევენახეობა მეტად განვითარებული იყო. ამ რამდენიმე წლის წინად, როდესაც ოლქში მცხოვრებლებმა ტყეს ჩეხვა დაუწყეს, მოსარწყავ არხების გასაყვანად ინჟინერებს პროექტის შედგენა სთხოვეს. პროექტი შეადგინეს და გლეხები ყველა სამუშაო საქმეებზე დაჰყაბულდნენ. საუბედუროდ, კავკასიის წყლების საქმეთა ინსპექციამ, სადაც აწ განსვენებული ინჟ. ნ. ა. პეტროვი მეფობდა, პროექტს წინააღმდეგობა გაუწია, რის გამოც მას განხორციელება არ ეღირსა. თუ როგორმე ალაზნიდან არხის გამოყვანა შესძლეს ხომ შეიძლება რომ ცოტად მაინც ეშველოს მაზრას, თუ არა და დაღუპვა მოელის. გლეხები ეხლაც მზად არიან ყოველივე სამუშავო თვითონ იკისრონ. მაგრამ სესხი კი აუცილებლივ საჭირო იქნება. მალე ამ საკითხს ამიერ კავკასიის კომიტეტი განიხილავს.

◆ **დამფუძნებელ კრილობას სამ ზადისში.** სხდომა შესდგა აკაკი ჩხენკელის თავმჯდომარეობით. სხდომამ შეიმუშავა სამი საკითხი, რომელიც შეეხება სამოქმედო პროგრამას თუ როგორ უნდა მოხდეს არჩევნები ამიერ-კავკასიაში. დასასრულ კრებამ დაადგინა დროებით მთავრობას ეთხოვოს 200.000 მანეთი ამ საქმის მოსაწყობად.

◆ **კავკასიის ექიმის თანაშემწეთა** საზოგადოების გამგეობა აუწყებს თავის წევრებს, რომ 13 და 14 ივლისს სალამოს 7 საათზედ მოხდება საზოგადოების კრილობა, თბილისის კადეტთა კორპუსის შენობაში. გამგეობა სთხოვს წევრებს უსათუოდ დაესწრონ კრებას.

◆ **ვეთეთალთა კრილობაზე** თბილისში, სხვათა შორის, შეეხნენ საქონლის ჭირის გავრცელებას ამიერ-კავკასიაში. კრებამ მოისმინა ამ საკითხის შესახებ რამდენიმე მოხსენება. როგორც მომხსენებლებმა აღნიშნეს, საქონლის ჭირი ამიერ-კავკასიაში ვრცელდება ოსმალეთიდან და სპარსეთიდან. იქ თურმე არავითარ ზომებს არ იღებენ დაავადმყოფებულ პირუტყვთა მოსარჩენათ; ჭირი იმ ქვეყნებში საოცრად ვრცელდება და ვინაიდან ჩვენი საზღვრები ჯეროვანად არ არის დაცული, ამიტომ ადვილათ შემოჰყავთ ჩვენში ავათმყოფი საქონელიო. ამასთანავე აღნიშნეს ის გულგრილობა ამ საქმეში, რომელთაც მცხოვრებნი იჩენენ. ვეთილებს ხალხი ჯეროვნათ არ ეხმარება, ვინაიდან ის საშუალებები, რომლებსაც ვეთილები ხმარობენ ჭირის აღმოსაფხვრელად ხალხს საზარალოთ მიაჩნია. სასტიკი კარანტინების დაწესება საჭირო ადგილებში, დახოცილ პირუტყვთა მიწაში დამარხვა, საბალახოებზე საქონლის საძოვრათ გარეკის აღკრძალვა, დახოცილ საქონლის საფასურის დაგვიანებით ანაზღაურება,—უკმაყოფილებას იწვევს ხალხში და ჩვენ მიერ მიღებულ ზომებს ნდობით არ ეპყრობიანო. კრილობის აზრით საქმეს უშველის ადგილობრივ რევოლუციონურ ორგანიზაციების მიერ საქმეში მონაწილეობის მიღება და დაჩქარებით კავკასიაში ერობის შემოღება.

## საქართველო

◆ **ადგილობრივი სასამართლო.** 5 მკათათვიდან დაიწყო კრება ადგილობრივ სასამართლოს, დებულების შესამუშავებლად. კრება მ. ი. პაპავაჩოვის თავმჯდომარეობით სწარმოებს, სენატორებ ჩიხიშვილისა და რუძის მონაწილეობით.

◆ **საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება** ლაზისტანში საარქეოლოგიო გამოკვლევათა მოსახდენად გზავნის ი. ყიფშიძეს.

## პროვინცია.

◆ **უპურობა.** თიბათვის 30-ს თელავში საშინელი პურის კრიზისი დაიწყო, ფქვილი სულ გამოილია. სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარე ლევ. ვახვახიშვილი საჩქაროდ თბილისში მიემგზავრება.

# ქალაქის არჩევნებისთვის

არჩევნების დღეს, ადგილობრივ ქალაქის თვითმართველობაში შესვლისას, ყველა ამომრჩეველი ვალდებულია, იქონიოს პიროვნების მოწმობასთან ერთად თავისი საარჩევნო ბარათი; ამ ბარათის წარუდგენლად საარჩევნო კრილობაზედ არავის შეუშვებენ. საარჩევნო ბარათები სახლში დაეგზავნება, ყველა ამომრჩეველს. თუ რომელიმე პირმა დროით ვერ მიიღო საარჩევნო ბარათი, მაშინ უნდა განუცხადოს საარჩევნო კომიტეტს, რათა მან მისცეს ბარათი, თუ კი მას საამისო უფლება ექნება. საარჩევნო ბარათებთან ერთად ამომრჩევლებს მიეცემათ ცარიელი კონვერტი საარჩევნო კომიტეტის ბეჭდით. ამ კონვერტებში სდებენ საარჩევნო ბიულეტენებს სიის ნომრებით ან და პარტიის ანუ ჯგუფის დასახელებით. მაშინ ჩაუშვებენ საარჩევ. ყუთში. თუ ყუთში აღმოჩნდა კონვერტი, რომელსაც ქალაქის საარჩევნო კომიტეტის ბეჭედი არა აქვს, ამ შემთხვევაში ხმას ძალა ეკარგება და ბიულეტენებიც აღარ ჰქომქმედობს. ამასთანავე ყველა ამომრჩეველმა ბარათი და კონვერტი კომიტეტის ბეჭდით დასმული უნდა შეინახოს სუფთად და სათუთად და იხმაროს მხოლოდ იმ მიზნისთვის, რისთვისაც არის იგი დანიშნული.

# აგრარულ რეფორმათა ლიგის კრილობა

ამას წინად პეტროგრადში აგრარულ რეფორმათა ლიგის კრილობა მოხდა.

კრილობა სხვა და სხვა პარტიათა წარმომადგენლების შორის აზრების გაცვლა-გამოცვლა გაიმართა.

კრილობაში მონაწილეობა მიიღეს ს.-დ., ს.-რ., ხალ. თავ. და კონ.-დ. პარტიათა წარმომადგენლებმა და აგრეთვე უპარტიო აგრონომ-ეკონომისტების ჯგუფმა.

სხვათა შორის ამ უკანასკნელებმა რეფორმის შემუშავებაში დიდი მონაწილეობა მიიღეს.

აზრთა გაცვლა-გამოცვლა მეტად სასარგებლო გამოდგა. ჯერ ერთი, რომ მან ცოტად თუ ბევრად ფარდა ახადა პოლიტიკურ ლოზუნგებს და მეორეც— „საკრამენტალურ“ სიტყვებს (მაგ. „მიწა ხალხს“, „სოციალიზაცია“, „მუნიციპალიზაცია“ და სხ.) მნიშვნელობა გაარკვია.

მეტად საყურადღებო იყო ს.-რ. პარტიის ლოზუნგების განმარტება.

მათმა წარმომადგენლებმა ს. ლ. მასლოვმა, ნ. ი. ბიხოვსკიმ და აგრეთვე სხვებმა სიტყვა „სოციალიზაცია“ ახსნეს. სცდილობდნენ განემარტათ თუ რა უნდა ვიგულისხმოთ ამ სიტყვით და რა არა.

მაგრამ განმარტებათა შემდეგაც სოციალიზაციის დადებითი მხარეები მეტად ბუნდოვანი გამოდგა. ის კი, რასაც სოციალიზაცია არა ჰგულისხმობს უფრო ნათლად განმარტეს.

გამოირკვა, რომ სოციალიზაცია სრულიადაც არ გულისხმობს ყველგან თემობრივ მიწადმოქმედების დამყარებას. თემობრივი მიწადმფლობელობა იქ დამყარდება, სადაც თემობრივ ცხოვრებას ფართე ნიადაგი აქვს. იქ კი სადაც თემობრივმა მიწადმფლობელობამ კომლობრივს ან და მიწადმფლობელობის სხვა ფორმებს დაუთმო ადგილი,—არსებული ფორმები ხელშეუხლებელნი დარჩებიან.

ს.-რ. პარტიის წარმომადგენლებს ეინმემ ამ ლიდერის პ. პ. ვიხლიაევის ძველი პროექტი (რომლითაც თემობრივობა მიწადმფლობელობის ერთადერთ ფორმად უნდა გადაქცეულიყო) მოაგონა. მათ განაცხადეს, რომ პარტია ასეთ შეხედულებას აღარ იზიარებსო.

შემდეგ გამოირკვა, რომ პარტიას შეუძლებლად მიაჩნია არამც თუ მოჰპარებულ მიწების დარჩენა გლეხების ხელში, არამედ ნასყიდ მიწებისაც.

მალე ისიც დასძინეს, რომ თვით პრინციპი მიწის კერძო საკუთრების გაუქმებისა სრულიადაც არ ჰგულისხმობს ეხლანდელ მემამულეთა მიწის ჩამორთმევას; რომ ეს პრინციპი არც თუ მომავალ მემამულეთ (როდესაც მცხოვრებთა რიცხვი იმატებს და ოჯახის შემადგენლობასა და მიწის ფონდის შორის პროპორცია დაირღვევა) უქადის მუქარას.

ასე რომ, მიწის კერძო მესაკუთრეობის მოსპობა ამ პარტიას თუმც საგანგებო დეკლარაციით ჰსურს, იგი მაინც ყოველ ღონისძიებას იხმარს, რომ ეს დეკლარაცია ეხლანდელ წვრილ მესაკუთრეთა რეალ ინტერესებს არ შეეხებოდეს.

ხალხის თავისუფლების პარტიის წარმომადგენლებმა და კონ.-დემოკრატების წარმომადგენელმა ნ. ნ. ჩერენკოვმა განაცხადეს, რომ ასეთ „სოციალიზაცია“-ზე ჩვენ ორივე ხელს მოვაწერთო.

# სოციალიზმის მოდა

„რუსკია ვედომოსტში“ პროფ. ა. კიზევეტტერი სწერს:

„დღეს, როდესაც უმეტესად მნიშვნელოვანი საკითხები წარმოგვიდგენ გადასაწყვეტად, მრავალი ჩვენგანი შორეულ პრესპექტივებს ემონება. სრულიად გულგრილად ეპყრობა უსაჭიროეს ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტაზედ სამშობლოს მომავალი ბედი მჭიდროდ არის დაკავშირებული.

ასეთი გულგრილობა ჩვენი დიდიხნის უუფლებო არსებობით აიხსნება. უახლოეს ამოცანების გულგრილად მოპყრობას ჩვენ უუფლებო არსებობამ შეგვაჩვია, რადგან, სულ ერთი იყო—მათი გადაწყვეტა ჩვენზედ არ იყო დამოკიდებული.

აი შეიცვალა ჩვენი პოლიტიკური ცხოვრება. მოულოდნელად ჩვენვე შევიქენით ჩვენის ბედის მჭედელნი.

ჩვენს აზროვნებას კი ძველებურად შორეული პრესპექტივები უფრო ალელვებენ, ვიდრე არსებულ სინამდვილის გასაუმჯობესებლად პრაქტიკული მუშაობა.

აი უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ჩვენი უმრავლესობა თავის სოციალისტად გამოცხადებას სცდილობს.

ეს ჩვენი დამღუპველი ლტოლვილება უცხოელებსაც კი აოცებს.

ეპიდემიური მოდა სოციალისტობისა ჩვენში იმის მაჩვენებელია, რომ, მიუხედავად მოხდარ პოლიტიკურ ცვლილებებისა, ჩვენ ისევ ძველებურად ვაზროვნობთ.

ჩვენ შეუცნობელ მომავლის გონების თვალით განჭვრეტას ვცდილობთ მაშინ, როდესაც მრავალი მეტად მნიშვნელოვანი და ისეთი პრაქტიკული საქმეები გვიძევს წინ, რომელთა სამეროდ გადადება შეუწყნარებელია.

მე ვგრძნობ სოციალისტურ იდეალის გრძნეულებას, მაგრამ არა მგონია, რომ ჩვენს დროში, როდესაც უტოპიურ სოციალიზმის ბატონობა საუკუნოებს ჩაჰბარდა, ვინმემ იმის მტკიცება დაიწყოს, რომ სოციალისტური წყობილება დღეის ან ხვალის გადასაწყვეტ პრაქტიკულ პრობლემას წარმოადგენდეს.

თვით უკიდურეს სოციალისტურ პარტიებსაც ხომ მთელი ქვეყნის სოციალური ფერისცვალება არა ჰსურთ. მათ მხოლოდ თანამედროვე ბურჟუაზიულ სახელმწიფოში მეტ სოციალურ სიმართლის შეტანა უნდათ.

ჩემთვის გასაგები იქნებოდა თუ სოციალისტურ იდეალის განხორციელების შესაძლებლობა, როგორც წმინდად აკადემიური საკითხი, სადმე ფილოსოფიურ თუ პოლიტიკურ წრეებში ირჩეოდეს. პოლიტიკურად განვითარებული საზოგადოება კი იმას უფრო დიდ ყურადღებას უნდა აქცევდეს, თუ რომელ პარტიის რეფორმები უფრო შეეწონება მიზანს, რომლის განხორციელებაა შესაძლო ან და რომელნი უფრო მეტად არიან სოციალურ სინამდვილით განმსჭვალულნი და არა იმას, რომ ესა თუ ის პარტია უეჭველად მფარველ ფერის სოციალისტურ წამოსასხამში იყოს გახვეული.

ყოველ შემთხვევაში პოლიტიკურად განვითარებულ საზოგადოებაში ამომრჩეველი იმას უფრო უწევს ანგარიშს, თუ ეს თუ ის არჩეული პირი რის გაკეთებას შესძლებს ამა თუ იმ კრებაზე. ჩვენში კი იმას უფრო დიდ ყურადღებას აქცევენ, თუ რას ჰფიქრობენ შორეულ მომავლის საკაცობრიო ბედზე ესა თუ ის კანდიდატი. შემცდარი იქნება ის, ვინც იფიქრებს, ვითომ სოციალისტურ იდეებს რუსეთში ფართე განვითარება მიეღოთ, არა. ეს გარემოება მხოლოდ იმას ჰმოწმობს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ პოლიტიკურ ანბანის მხოლოდ პირველ ასოებს ვსწავლობთ.

# არტაანიდან თორთუმამდე

დიდი ხანია თორთუმელი ქართველი-მაჰმადიანების ცხოვრების გაცნობა მსურდა, ვერ ვახერხებდი. არტაანის ოლქში, განსაკუთრებით, დიდი ზამთარი იცის, რომელიც აპრილის შუა რიცხვამდე გასტანს ხოლმე. (ბევრი მაგალითი ყოფილა, რომ ზამთარს მაისის შუა რიცხვამდე გაეტანოს). მაისის 11-ს, ოლთისის ოლქში მომიხდა წასვლა სამსახურისა გამო. თორთუმი ოლთისის ოლქის მოსაზღვრეა და თვით მისი საზღვარი დაბა ოლთისს 7 ვერსით ახლავს. ოლთისისაკენ გზას გავუდექი. არტაანიდან ოლთამდე მშვენიერი გზა-ტკეცილია. ეს ის გზა გახლავთ მკითხველო, რომელზედაც სულ-მნათს, ჩვენს სიამაყეს თამარ მეფეს ქართველი ლაშქარი რომ დაჰყავდა ოსმალეთისაკენ საბრძოლველად ბორჯომის ხეობიდან თორთუმს და ქინჯანს (გავლით).

სოფელ ხლუნდირში წინ ათამდე სრულიად ტიტველ-შიშველნი ქალები და ბავშვები გადამელობნენ.

— [1]) ეფენდი, სან გურჯი? შემომეკითხნენ ტიტველ-შიშველნი.

— [2]) ბალი, ვუპასუხე მე და გავკვირდი, ნეტავი რად მეკითხებიან მეთქი.

— [3]) იახში ეფენდი, იახში, მიპასუხეს ისეთის [illegible] კილოთი, რომ გეგონებოდათ დიდი ხნის დაკარგული ძმა ან ვინმე ახლობელ ნათესავს შეხვდნენო.

— ჩვენ თორთუმელი ქართველი მაჰმადიანები ვართ, გაგვეხარდა რომ განახეთ ქართველი; ამბობენ ქართველები ძრიელ შველიან ჩვენებს—ქართველ-მაჰმადიანებსო. ჩვენ ძრიელ გაჭირვებული ვართ ეფენდი, ამ ბრძოლამ დაგვღუპა და ამოგვაგდო, ჩვენი ქმრები, მამები, შვილები, რუსებმა ტყვეთ წაასხეს სადღაც, დავრჩით მარტო ქალები, ბალღები, ზოგან მოხუცი კაცებიც არიან. თუ რამ პირუტყვი გვებადა ჯერედ სომხებმა და მერე ჯარმა წაასხეს, ქონებაც მაგათვე წაგვართვეს და დავრჩით ასე სამოწყალოდ, დავდივართ, დავმათხოვრობთ.

— ყურსალ ფრაფალ[4]), დუქნიდან გამოსული პატარა გოგოს დანახვისათანავე, რომელსაც ხელში პურის ნატეხი ეჭირა და თანაც მადიანად ილუკმებოდა, შემომჩივლა ერთმა თორთუმელ 6—5 წლის პატარა ბიჭმა, რომელსაც ზურგზე ძველი დაკონკილდაძონძილი ცარიელი ტომარა ეკიდა და თვალებიდან ნაკადულივით ცრემლები ჩამოჰყარა და პურიან ბავშვს ხარბად თვალები გააყოლა. ამ სურათმა ჩემზე დიდი გავლენა იქონია, შევედი დუქანში და სამიოდე გირვანქა პური ვიყიდე და ბალღს გადავეცი.

— ჩოღ-საღოლ ეფენდი[5],) სიხარულის ცრემლ-მორევით მითხრა ბავშვმა პურის დანახვისთანავე და პურიან ხელზე მაკოცა. ფეცხლავ გამომართვა პური და პირში დიდ ლუკმის დება ხარბად დაიწყო. მას დანარჩენი ბავშვები მივარდნენ და პურის მოტ ხვას ეხვეწებოდნენ, მაგრამ ის უარს ეუბნებოდა.

— ჲმ! იოხ[6]), თავის განზე გადაწევით—ეუბნებოდა იგი. გულ-დაწყვეტილი ბალღები შემომეხვივნენ: ეფენდი, ჩვენც მოგვეცი პური, და ცრემლმორეულ თვალებს პურიან ბავშვს აყოლებდნენ. მე გულმა ვერ გამიძლო, შევედი დუქანში და ვსთხოვე მედუქნეს: რამდენიც გინდოდესთ ფული გამომართვით და ხუთიოდე გირვანქა პური მომეცი მეთქი.

— პური ძალიანი ცოტა მაქვს ბატონო, თორემ უარს არ გეტყოდით, სოფელშიაც არავისა აქვს, რომ ვიყიდოთ, თანაგრძნობის კილოთი მითხრა მედუქნემ.

— აბა რა ვქნა, პურსა მთხოვენ, ცოდონია, მშივრები არიან, ცწარე ამოოხვრით ვუთხარი და გადავხედე ბალღებს, რომლებიც პურის შოვნის იმედით თვალში ჩამცქეროდნენ.

— თქვენ მაგაზე ნუ სწუხხართ ბატონო, ეგენი ძაღლის რჯულისანი არიან, ბალახს ისე სჭამენ, როგორც ღორები, სიმშილით არ მოკვდებიან, ირონიულის სიცილით მითხრა მედუქნემ და ჩემთან მდგომ ბავშვებს შეუტია.—დაიკარგეთ აქედან თქვენ ძაღლის შვილებოო და ისინიც დამფრთხალნი აქეთ-იქით დაიფანტნენ. ასეთი საქციელი მედუქნისა მე ძრიელ მეწყინა. ამოვიღე სამი მანეთი და ერთ მათგანს უფროს ქალს გადავეცი. ის იყო გულ ნაწყენი ცხენზე უნდა შევმჯდარიყავი, რომ მედუქნემ ერთი მოზრდილი პური გამომიტანა, რომელიც 7 გირვანქამდე იქნებოდა და ბოდიშისა და თანაც ხვეწნის კილოთი გადმომცა.—უკაცრავოდ ბატონო, არ მეგონა თუ თქვენ ეგზომ გეწყინებოდათ, თორემ როგორ ღმერთი გამიწყრებოდა და გავუჯავრდებოდი. მიირთვით პური და გთხოვთ მაპატიოთ ჩემი საქციელი.

— გმადლობთ, გმადლობთ, პურის დანახვისათანავე, სიამოვნებით ვუთხარი მედუქნეს, ვიკარი ჯიბეში ხელი, ამოვიღე საფულედან ერთი მანეთი და გადავეცი, ის თუმც ფულს არ იღებდა, მაგრამ მეც უფულოდ პურის გამორთმევაზე უარს ვეყავი. ჩემთვის ეს პური 10 მანეთი ღირს, დიდი მადლობელი ვიქნები თუ ფულს გამომართმევ, შეიძლება გეცოტავათ, კიდევ მოგცემთ, დავსძინე მე და ხელი ჯიბისკენ წავიღე.

— არა ბატონო, რასა ბრძანებთ, მე უფულოდ მინდოდა მომერთმია თქვენთვის, თორემ ამ პურმა მანეთის მეტი რა იცის, ბოდიშისა და თანაც დარცხვენის კილოთი მიპასუხა მედუქნემ და გამომართო ფული.

კოსორისაკენ გავსწიე. გზა და გზა აქა-იქ გვხვდებოდნენ მაწანწალა დადამოვარდნილნი თორთუმელი ქართველი მაჰმადიანები. ზოგი მათგანი პირ-

[1]) ეფენდი სან გურჯი—განათლებულო, შენ ქართველი ხარ?

[2]) ბალი—დიახ.

[3]) იახში ეფენდი, იახში—კარგი განათლებულო, კარგი.

[4]) ყურსალ ფრაფალ—სიმშილით არაქათი გამომელია.

[5]) ჩოღ-საღოლ ეფენდი—დიდად გმადლობ განათლებულო.

[6]) იოხ—არა.

დაპირ აჩრდილნი იყვნენ ადამიანისა, ტიტველ-შიშველნი, მშიერ-მწყურვალნი, ყველა ამათ რაღაც არა ადამიანური ელ-ფერი ედოთ, მათი დანახვა ადამიანს უფრო შიშსა ჰგვრიდა, ვიდრე სიბრალულს. ჩემს დანახვაზე ყველა ერთ და იმასვე გაიძახოდა; ყურსაღ ფრაფალ ეფენდი, ჩურექ დავაიო, მან თორთუმ გურჯი-მუსულმანო და ჩხირივით გამხმარ ხელებს, რომლის ძვლებს თითეულად დაითვლიდით, ჩემსკენ აშვერდნენ; მეც ვიწოდი მათის ცოდვით, პურის უქონლობისა გამო თითოს ორ-ორ და სამ-სამ შაურს ვურიგებდი დაჩქარებით და ამნაირად თავიდან ვიშორებდი ომიანობის საცოდავს მსხვერპლთ. მალე ს. კოსორშიაც მივედი, აქაც იგივე სურათი დამხვდა! გულმა ველარ გამიძლო, სწრაფლ განვშორდი. ექვსი ვერსის გავლის შემდეგ კოსორიდან, ხიდთან— წყლის გამოღმა, ძველი თამარისეული გზა ტკეცილით გავუდექი ს. ფინიაკისაკენ. ეს ის ფინიაკია, მკითხველო, რომლის შესახებ მრავალიქება-დიდება დაუწერიათ ჩვენს ისტორიკოსებს ქართული ისტორიის ფურცლებზე. აქ ოდესღაც ქართველების დიდი ქალაქი ყოფილა, რომლის ნაშთი დღესაც ამაყადა სდგას, მაგრამ თვით ნაქალაქევი ადგილი—ფინიაკი კი დღეს, ამ ომიანობის შემდეგ, მხოლოდ ერთ პატარა, მაგრამ ისიც დანგრეულ გაპარტახებულ ორმოციოდე სახლს წარმოადგენს. აქა-იქ ახლად დაბრუნებული თათრები სცხოვრობენ. აქვე სოფლის თავზე სდგას ერთი უზარ-მაზარი, ბიზანტიულ ჩუქურთმიანი ეკლესია, რომელიც ძველად ქართველთა საპატრიარქო ეკლესია ყოფილა. ამ ეკლესიიდან შიგნით გაყვანილია მღვიმე ოლთისის ციხეში (ს. ფინიაკიდან ოლთისამდე პირდაპირ აღებული 30 ვერსია), მისი თავი დღესაც აშკარადა სჩანს. ამბობენ 1915 წ. რუსის ჯარის კაცებს მღვიმეში ძაღლი ჩაუგდიათ, შემდეგ დაუფრთხვიათ და ძაღლს ოლთისის ციხეში ამოუყვია თავი. ეკლესიას შიგნით საიდუმლო სარდაფები ჰქონია, სადაც მთელი პოლკი მოთავსდება; თვით ეკლესია უმშვენიერესი ხელოვნებაა, მისი თაღური სახე, ვებერთელა—სამ-სამი და ოთხ-ოთხი საჟენიანი მარმარილოს მრგვალი სვეტები, მარმარილოს ქვაში გამოყვანილი მშვენიერი ფოთლები, ყვავილები, ყურძნის მტევნები, ადამიანები და სხვა მრავალი, ადამიანსა ჰხიბლავს. ეკლესიის კედლები, მისი სიმშვენიერე, მარმარილოს ქვის ვეებერთელა ფიცრები, მათზე გამოყვანილი ცოცხალი სურათები ადამიანს ჰხიბლავს. აქვე ახლო-მახლოს ოცდა ხუთი ეკლესიების ნანგრევებია, რაც ფინიაკის დიდ ქალაქობას ამოწმებს. ამბობენ ამ ფინიაკს ქართულად სხვა სახელი ჰქვიანო, მაგრამ აქ მცხოვრებლებთა განმა არავინ იცის. გზაზე ოლთისამდე მრავალი ძველი ქართული ნაშთებია ეკლესიისა და ციხეებისა, მაგრამ ფინიაკისთანა არტაან-ოლთისის ოლქებში არა მოიპოვება რა. ამბობენ თორთუმისა და ეინჯანის ოლქებში სამი ეკლესიაა, რომელნიც ფინიაკის ეკლესიას სიდიდით, სილამაზით და ხუროთმოძღვრულ ხელოვნებით გადააჭარბებენო.

მალე ფინიაკიდან უკან დავბრუნდი, რადგანაც მდინარე, რომელიც ფინიაკს გვერდით უვლის ადიდებული იყო და მასზე გასვლა საშიში იყო და ახალ გზა-ტკეცილით ოლთისისაკენ გავუდექი გზას. გზაზე მრავალი თორთუმელი ქალები და ვაჟები დამრეწნენ, რომელნიც მგზავრთ თავიანთი უბედურ მდგომარეობას უსჩიოდნენ და თვალცრემლიანები შველასა სთხოვდნენ. მარილის მადანთან ბევრ სხვა თორთუმელ ქალებთა შორის ერთი ღრმად მოხუცი ქართველი მაჰმადიანი ვნახე. მესიამოვნა, ვიფიქრე თორთუმის შესახებ ალბათ რამე ეცოდინება და მიამბობს მეთქი და მას წინ ცხენი შევაჩერე, ჩამოვხდი, აღვირი ხელში დავიჭირე და მოხუცს მიახლოვებისათანავე თათრულად სალამი მივეცი.

— ღმერთმა გაგიმარჯოს ჩემო ბატონო, ძველი ქართული დარბაისლური კილოთი მიპასუხა მოხუცმა ქართულად და სწრაფად ფეხზე წამოდგა ჩემს ყურს არ უჯერებდი, მაგრამ როცა მოხუცმა თავისი მზისაგან გაშავებული და სრულიად გამხმარ-ტყავებული ხელი გამომიწოდა და ანაც მითხრა მადლობა ღმერთს ჩემი ბატონი ბრძანდებითო, დავრწმუნდი ქართული ცოდნაში მეთქი და მეც სიხარულით აღფრთოვანებულმა მსწრაფლ ხელი გაუწოდე.

— თქვენ ქართული ცოდნიათ? ალბათ აქ რიდან უნდა იყოთ? შევეკითხე.

— არა, მე თორთუმის სოფლიდანა ვარ, ქართველი მაჰმადიანი, აჭარაში ქალი მყავს გათხოვილი და იქ ვისწავლე ქართული.

— როგორ?!! გაუკვირდე მე, თორთუმი განა ერთი სოფელი არ არის?

— არა ჩემო ბატონო, თორთუმი დიდი ქვეყანაა—280 სოფელს შეიცავს და დაიწყო ქართული სოფლების ჩამოთვლა: ორ-თხა, ხარ-თხა, ხარისი და სხვა მრავალი.

— თორთუმში მცხოვრები ყველა ქართველი მაჰმადიანები არიან, თუ აქა იქ-იქ გირევიათ, როგორც არტაან-ოლთისის ოლქებში, ქურთები, თურქმანები და სხვა? დავეკითხე ისევ ცნობისმოყვარეობით მოხუცს.

— არა, სულ ქართველი—მაჰმადიანები ვართ.

— ყველა თქვენგანმა იცის თუ არა, რომ იგინი ქართველი მაჰმადიანები არიან?

— როგორ არა, იციან.

— თავიანთი ქართული გვარი ხომ არ ახსოვთ ვინმე თქვენგანს?

— გვარი არავის ახსოვს, რადგანაც ჩვენ აქ თამარ-მეფის დროიდანა ვართ დასახლებულნი, არტაანი, ოლთისი, თორთომი, ბდირბეკანი და სხვა სულ საქართველო იყო, ყველგან ქართველები სცხოვრებდნენ, მაგრამ როცა ოსმალომ წაართო ქართველებს, ყველა აქ მცხოვრებნი გაამაჰმადიანეს, მაგრამ ეგ სულ ერთია, ჩვენ რჯულითა ვართ თათრები, თორემ გულით კი ქართველები ვართ. ჩვენ ძრიელ გვიყვარს ქართველები, იგინი კეთილი ადამიანები არიან. აი, ჩვენი პატარებიც და ქალებიც სათხოვნელათ რომ დადიან ძრიელ უმადლიან ქართველებს. ისე შეეჩვივნენ ქართველთა სახეს, რომ დაინახავენ თუ არა—ქართველ ადამიანს სიხარულით გაიძახიან „ქართველია, ქართველიო“ და გარბიან მათკენ, რადგანაც იციან, რომ ქართველი მათ დაუსაჩუქრებლივ არ გაისტუმრებს. ბოლოს, მოხუცმა ძრიელ ბევრი და ფრიად გულის ამაღელვებელი საყვედურები მითხრა სომხების საქციელზე. წარმოიდგინეთ მკითხველნო, ისე გულდაწყვეტილად ამბობდა მოხუცი სომხების მიერ მხეცურად ჩადენილ ამბებს, რომ თვითონაც სტიროდა და მეც ამატირა. მე არ მეგონა, თუ ადამიანს, თუნდა სრულიად გამხეცებულს, შეეძლო ისეთი საზიზღრობის ჩადენა, რაც მიამბო მოხუცმა. ვეღარ გავუძელ, მოხუცს ხუთი მანეთიანი ჩავუდე ხელში და გულ დაკოდილი ოლთისისაკენ გზას გავუდექი. ოლთისში ერთ ჩემ მეგობარ მოხუც პორუჩიკ დვანაძესთან ჩამოვხდი, რომელსაც გავუზიარე მოხუცის სიტყვები. თორთუმში გამგზავრების ნაცვლად დილით არტაანისაკენ გავუდექი გზას. გზაზე 7—8 წლის ბავშვები და ქალები ნამოწყალებით დატვირთულნი უკან თორთუმისკენ მიდიოდნენ. ალბათ ეგენი ის არ იყვნენ, რომელნიც მე გზათ მეყრებოდნენ. მოხუცი კი მარილის მადნიდან 4 ვერსის მოშორებით ვნახე გზაზე დაწოლილი. სახე რაღაც გაწითლებოდა, თვალებიც წინ წამოწეოდნენ, თითქოს გადმოცვენას ლამობდნენ. მოხუცი ცახცახებდა. გვერდზე 8 წლის ობოლი შვილისშვილი ეჯდა, რომელიც რაღაცას ეტიტინებოდა და თანაც ბაბუსკენ გაშვერილ ხელში სალდათის შავი პურის კანი ეჭირა, ალბათ სთავაზობდა მოხუცს. მე მისმა დანახვამ გამახსენა მისი სიტყვები, გული ამიტოკდა, თვალებზე მომდგარი ცრემლები დარცხვენით და თანაც ქურდულად ამოვიწმინდე, თავი შევიმაგრე, მივუახლოვდი მოხუცს, დავუკარი თავი, გამარჯვება ვუთხარი, მაგრამ მან ნაცვლად სალამისა თვალები ისეთნაირად შემომაჩერა, რომ მაშინ ნამდვილი სიბრალური და ღრმა ტანჯვა გამოიხატებოდა. მე მაშინვე მივხვდი, რომ მოხუცს რაღაც გაჭირვება დაემართა, ჩამოვხდი ცხენიდან, მივუახლოვდი, შუბლზე ხელი დავადევი, შუბლი ცხელი ჰქონდა, მაჯაც დაჩქარებით ფეთქავდა. მოხუცი ავად გამხდარიყო.

მე ცხენი შევთავაზე, კასორამდე წამოდი, მე ფეხით წამოვალ, არა მიშავს, ახალგაზრდა ვარ მეთქი, მაგრამ უარი მითხრა. ამ დროს ვიღაც ცხენოსანმა თათარმა გამოიარა, მისი ნაცნობი გამოდგა, მიესალმნენ ერთმანეთს. მგზავრმა მოხუცი ცხენზე შესვა და გზას გაუდგნენ. მალე მეც კოსორისაკენ გამოვქუსლე ცხენით. მოხუცის სახელი და გვარი ვიცოდი, სოფლის სახელიც მითხრა, ქაღალდის ნაჭერზე დავიწერე, მაგრამ სამწუხაროდ დამეკარგა. შემდეგ ამისა მოხუცისა არა ვიცი რა. თიბათვის 18-ს გავემგზავრე ოლთისისაში ხარჯთ-ამკრეფ ინსპექტორ გეპნერთან ერთად, მაგრამ თორთუმელი ბავშვები, ქალები და კაცები ნაკლებ გვხვდებოდნენ და თუ აქა-იქ შეგვხდებოდნენ ისიც ბალით, მაჟლით, ჰერამით დატვირთულნი; ყველა ამას სოფლებში ფქვილში სცვლიდნენ. ვკითხე კიდევაც, თორთუმელთ, მიზეზი რა არის რომ თქვენები სათხოვნელად არ დაიარებიანმეთქი.

— ეხლა ხილი ბევრია, სიმშილს არა ვგრძნობთ, მთელი თორთუმის ოლქი ბაღნარია, ვკრეფთ ხილეულობას, გაგვაქვს სოფლად, ვსცვლით ფქვილზე, პურზე, ერბოზე, ყველზე, კვერცხზე, რაც შეგვხვდება ყველაფერზე, მიპასუხეს. ოლთისაში ჩვეულებრივ ჩემ მეგობარ პორუჩიკი დვანაძესთან ჩამოვხდი, გეპნერიც მივაპატიჟე. მეორე დღეს ვსთხოვე გეპნერს თორთუმში გადავსულიყავით, მაგრამ არ ისურვა და მარტო მე წასვლა ვერ გავბედე, რადგანაც თორთუმის გზებზე ყაჩაღები დაძრწიანო. მალე თორთუმისკენაც გავსწევ და ჩემს ნანახ-გაგონილს მკითხველს გავუზიარებ. როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგე რუსებს ას-სამოცდაათასზე მეტი გადაუსახლებიათ თორთუმიდან ქართველი მაჰმადიანები.

კ. მარტვილელი.

## უდინების ეკლესია

ამას წინად თქვენს გაზეთში ცნობა იყო მოთავსებული უდინების ორმა მრევლმა გადასწყვიტა საქართველოს საკათალიკოსოს შემოუერთდესო.

ვინ არიან უდინები? ვინც ცოტათ თუ ბევრად იცნობს კავკასიისა და კერძოდ საქართველოს ისტორიას, იმას ეცოდინება, რომ უძველეს დროში კავკასიაში ქართველებისა ანუ მაშინდელის ტერმინოლოგიით რომ ვსთქვათ, იბერებისა მოსახლეობდა ერთი უდიდეს ერთაგანი საქართველოს მეზობლად—ალბანელები. ალბანელებს ეჭირათ უდიდესი ადგილი კავკასიაში საქართველოს საზღვრიდამ კასპიის ზღვამდის და თვით თერგის შესართავამდის. აი ამ ალბანიაში, რომელიც ორი ერთვნების, ქართველების და სომხების, ზედგავლენის ქვეშ იმყოფებოდა, წუდამ ქიშპობა და მტრობა ჰქონდა უპირველეს გავლენის მოსაპოვებლად. სომხები არავითარს ხრიკს და საშუალებას არ ერიდებოდნენ ქართველების გავლენის გასადევნად ალბანიიდგან. სომეხთა ისტორიკოსს კალან-კატვაცის მრავალი მაგალითები მოჰყავს ამ ხრიკებისა და სხვათა შორის ამბობს, რომ სომხებმა ერთხელ ალბანიის ეკლესიებიდგან გამოიტანეს ქართული წიგნები, დასაპალნეს რამდენიმე ვირი და მდინარე ტერტერში გადაჰყარეს ეს წიგნებიო.

ერთის სიტყვით სომხები არაფერს ღონეს არ ერიდებოდნენ, რომ ამ ალბანიიდგან, რომლის სიმპატიაც უფრო ქართველებისაკენ იხრებოდა, განედევნათ ქართული გავლენა. აი ამ ალბანელების ჩამომავლები არიან ის უდინები, რომელნიც დღეს საქართველოს საკათალიკოსოს უერთდებიან და რომელნიც ნუხის მაზრაში სცხოვრობენ. თვით სახელი უდინი, უდა, წარმოსდგა იმ პროვინციის სახელწოდებიდგან, რომელშიაც ისინი სცხოვრობდნენ და რომელსაც უდა ერქვა.

როდესაც საქართველოს ეკლესია შეუერთდა რუსეთისას ანუ როცა რუსებმა მოსპეს საქართველოს ეკლესიის თვითმართებლობა, მაშინ საქართველოს საკათალიკოსოში ითვლებოდა ოცი სამრევლო უდინებისა. გადაჰხედეთ არქეოგრაფიულ კომისიის აქტებს, სადაც ამის შესახებ თვით უდინები მოგვითხრობენ და ხმა მაღლა ღაღადებენ თავიანთს თხოვნაში, რომ ჩვენ ოცი სამრევლო ვექვემდებარებოდით საქართველოს კათალიკოსს და ის გვიგზავნიდა სამღვდელო პირებსაო. ამასთანავე მოითხოვენ თუ რას იხდიდა მრევლი მღვდლის სასარგებლოდ.

საჭიროა ვიკითხოთ, რა იქნა ეს ოცი მრევლი, რანაირ უპატრონა მათ ბიუროკრატიულმა რუსეთის სინოდმა? ისე უპატრონა, როგორც მრავალი ღვიძლ-ნაცვალი ჰპატრონობს ხოლმე თავისს გერს, ეს ოცი მრევლი დღეს ორ მრევლადაა ქცეული. დიახ ორ მრევლად. განა რომ კარგად უპატრონებია სინოდს უდინების ეკლესიისათვის. მან სული ამოხადა საქართველოს ეკლესიას და თვითონაც ვერ შესძლო იმის პატრონობა და მოვლა, რაც მრავალტანჯულმა საქართველოს ეკლესიამ გააკეთა და აღორძინა. უდინები სრულიად უპატრონოდ მიატოვა და რაც უპატრონოდაა ის ხომ ერთს დროს სხვისი გახდება. ასე მოუვიდა უდინთა ეკლესიასაც. უდინების უდიდესმა ნაწილმა სომხობა მიიღო და სომხების კათალიკოსს ექვემდებარება. დღეს უდინების უდიდესი სოფელი ნიჯი, რომელშიაც სცემდა და გადმოდიოდა უდინთა ცხოვრება და უდინთა ცენტრს წარმოადგენდა, სრულიად დაემორჩილა სომხების გავლენას. მის მაგალითს წაჰბაძეს სხვა პატარა სოფლებმაც და მთლად გასომხდნენ, დარჩა მხოლოდ ორი მართლმადიდებელი მრევლი, რომელთაც გახარებით ქართველთა საკათალიკოსოს აღდგენა და სიხარულით მას უერთდებიან.

დიახაც რომ სასიხარულო იქნებოდა მათთვის საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენა, რადგანაც ავტოკეფალიის აღდგენასთან მათს ეკლესიაში ძველებურად აღდგენილი იქნება ქართული წირვა-ლოცვა, რომელიც რუსეთის სინოდმა გააუქმა და მაგიერ რუსული წირვა-ლოცვა შემოიღო. როცა პირველად რუსულად შემოიღეს წირვა-ლოცვა, ხალხმა ითხოვა, ისევ ძველებურად, ქართულ ენაზედ იყოს წირვა-ლოცვა, ჩვენს მამა-პაპას ამ ენაზედ მოუსმენია წირვა-ლოცვა, ყური და გული შეჩვეული გვაქვს, იგი უტკბილესია ჩვენთვისაო, მაგრამ სინოდმა მაინც თავისი გაიყვანა და დღემდის სლავიანურად სწარმოებს მღვდელ-მსახურება.

რასაკვირველია საქართველოს საკათალიკოზოსთან შემოერთების შემდეგ ქართულად უნდა სწარმოებდეს წირვა-ლოცვა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი გარემოება, უდინებს ნაკლებ ესმით ქართული ენა და ამიტომ საჭიროა, რომ უდინურად წაკითხული იყოს ხოლმე სახარება მაინც, რომლის თარგმანიც უდინურს ენაზედ არის.

ზ. ედილი.

## კორესპონდენცია

### საცხენისის სასწავლებელი

**სოფ. ყვარელი.** ეს სასწავლებელი არის გახსნილი 1875 წელში ნამესტნიკათ ნამყოფის მიხეილ ნიკოლოზისძისაგან განსაკუთრებით საქართველოს თავად-აზნაურთა და საპატიო მოქალაქეების შვილების პირველ დაწყებითი სწავლის მისაღებათ და საბაღოსნო ცოდნის შესაძენათ. სასწავლებელში არის ხუთი განყოფილება; ასწავლიან საბაღოსნო და სადურგლო ხელობასაც. აღნიშნულ პირთა შვილები უნდა მიიღებოდნენ სრულს სახელმწიფო ხარჯზე და სცხოვრებდნენ სასწავლებლის პანსიონში. ვაკანსია ას-ათია. ხარჯით წელიწადში ხაზინიდან ეძლევა: 11,820 მანეთი პანსიონს, 3,000 მან. მასწავლებლების ჯამაგირი 1,000 მან. საბაღოსნო განყოფილებას 400, მან. სადურგლოსათვის და სულ წელიწადში 16,220 მანეთი. ეს სასწავლებელი მანგლისიდან გადმოუტანიათ სოფ. საცხენისში, სოფ. ძველ-გავაზის თავში, თელავის მაზრაში და აქედან 1896 წ. ს. ყვარელის თავში ძველს მინგრეულს-მონგრეულს ყოველის მხრივ შეუფერებელს, ქართველი დრუჟინისაგან მიტოვებულს კაზარმაში. სასწავლებელი შეჭრილია კავკასიონის მთების კალთებში და კაცს შუა საუკუნის ძველს მონასტერს მოაგონებს დამნაშავე ბერებისათვის. მოწყვეტილია ყოველს ცენტს. სწავლა-განათლების მაგიერ ბავშვების გულში სთესს სიველურეს, უზრდელობას და კაცის პირადობის არაფრად ჩაგდებას. სასწავლებლის შენობა მდ. დურუჯიმ 1906 წ. გაარიხრა. ეზო რიყით არის ავსებული. ოთახები ნესტიანი, ძალიან დაბალი და მყრალია. დღეს თუ ხვალ მდ. დურუჯის მსხვერპლი გახდება, მდინარე ირგვლივ უვლის სასწავლებელს.

თუმც ქართველი ბავშვებისათვის არის დაარსებული, მაინც 60 პროც. რუსის მოდგმის ბავშვები შეადგენენ: „გოროდოვოის“, სტრაჟნიკის და ჟანდარმის შვილები და დანარჩენი ქართველები, სომხები და თათრების თავად-აზნაურთ შვილები მიიღებიან. ასწავლიან მუნჯურ მეთოდით. ქართული ენა განდევნილია. მასწავლებლები სულ რუსები ინიშნებიან. ხანდისხან მღვდელი თუ გამოერევა ქართველი, ისიც რუსის მღვდლის უშოვნელობის გამო.

ქართველი შეგირდები შინ წერილს რუსულათ სწერენ და შინიდან ქართულათ დაწერილს ვერ კითხულობენ. კიდევ კარგი თუ მღვდელი ქართველია —ის წაუკითხავთ. ზოგჯერ წაუკითხავი რჩებათ ხოლმე. ყვარელის მცხოვრებლების შვილებს არ ღებენ თავიანთ საფასურითაც კი, ქართულს ლაპარაკს მიაჩვევენ პანსიონერებსო. სტრაჟნიკების, გოროდოვოების და ჟანდარმების შვილებს, ცოტა არ იყოს, ზრდილობა ვერა აქვთ ხოლმე რიგიანი და ესევე შეაქვთ სხვა შეგირდებშიაც. ანტაგონიზმია დათესილი რუსს და ქართველს შეგირდებში. ერთმანეთს ერიდებიან. მასწავლებლები იან უფრო რუსები არიან დაახლოვებულნი და ენამტანიობასაც ეწევიან.

საბაღოსნო განყოფილება არაფერს სარგებლობას არ აძლევს სასწავლებელს, პირიქით ტვირთათ აწევს მას. ვაზი ხეხილებით ექვს დესეტინამდე, იყო, მაგრამ თავში ნახევარზე მეტი მდ. დურუჯმა რიყედ აქცია, რაც ვაზი დარჩა იმასაც ვერ უვლიან.

პატარა ბიჭუნები 8—9 წლისანი ყოველ დღე ხელში წერაქვებით, თოხებით, ბარებით და ნიჩბებით წელში სწყდებიან. დილით სწავლა იწყება 8 საათზე—თავდება პირველზე. მაშინვე მცირე სადილი. სამის ნახევარზე მიუდით დასახელებული იარაღით ქვების ამოსაყრელათ ექვსის ნახევრამდე. მერე საღამოთი ისევ გაკვეთილების მომზადება მეორე დღისათვის. პანსიონი არაფრით სარგებლობს ამ განყოფილებით; ყველაფერს ბოსტნეულს გარეშე პირებიდამ ჰყიდულობს. შეგირდები ყოველ დღე შიგ მუშაობენ ბაღში და ხილის ჭამის ნება კი არა აქვთ.

არც სადურგლო განყოფილებაა რიგიანი. დაზგების უქონლობის გამო სულ ოცი შეგირდი მუშაობს. ათი ერთს დღეს, ათი მეორე დღეს. კოვზს ვერ გასთლიან, რადგანაც მცოდნე—სპეციალი მასწავლებელი არა ჰყავთ. ვინმე სასწავლებლის მასწავლებელთაგანი კისრულობს ხოლმე ხელმძღვანელობას. სანამ ჟურნალებიდამ და მოდელებიდამ თითონ მასწავლებელი შეისწავლის იარაღის სახელებს და ხმარებას წელიწადი [illegible] წელიწადს [illegible] ინიშნება.

ეს სასწავლებელი დღევანდლამდე ემსახურება ქართველი თავის დამახინჯებას. ამ გარემოებას 1908—1910 წ. წ. ყურადღება მიაქცია პატივცემულმა ქველმოქმედმა თავ. დიმიტრი (ტიტიკო) ივანეს ძე მაყაშვილმა. ბევრი ეცადა სწორე გზაზე დაეყენებინა, მაგრამ მომხრე ვერ იშოვნა და სასწავლებლის ბედი და მიმართულება ისევ უცვლელი დარჩა.

მღვდელი ვასილი მატათაშვილი.


## ამიერ-კავკასიის რკ. გზის
**მატარებლების მოძრაობა**
(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

ტფილისიდან გადის:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.48 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 8.20 | დღ |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.20 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 7.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-8, | 11.13 | საღ. |

ტფილისში მოდის:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 7.51 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.88 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.48 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10.40 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 | დილ. |

III წელ. მიიღება ხელის მოწერა 1917 წელს III წელ.

სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო ჟურნალ

# „თავისუფლება“-ზე

რომელიც გამოვა ორ კვირაში ერთხელ, რომანოზ სპ. ფანცხავას რედაქტორობით. ჟურნალში ითანამშრომლებენ საუკეთესო სალიტერატურო ძალები (წელიწადი პირვ). წლიურათ ჟურნალი ღირება 7 მ., ნახევარი წლით 4 მ, სამი თვით 2 მ. თვიურად 80 კ. წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეუძლიათ. ქუთაისში ხელის მოწერა და ნუმრების ყიდვა შეიძლება მხოლოთ რედაქციის კანტორაში (სტამბა „ძმობა“), ისიდორე კვიცარიძესთან. თბილისში, კავკასიის სამფრენლო სკოლის მოწაფესთან, ტერენტი გ—ძე სვანიძესთან და შალვა იასონის ძე მგელიშვილთან. ქიათურაში—პლატონ პ—ძე კილასონიასთან, სამტრედიაში მინა კოპალეიშვილთან, ფოთში—ნესტორ დოლიძესთან, ბათუმში—„განთიადის“ კანტორაში, ბაქოში—სანდრო ჭყონიძესთან, ქალაქის თვითმართველობაში და მოსკოვში, სტ. შალვა დ. გომართელთან. ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით:
Кутаисъ, Роману Спиридоновичу Панцхава.

## წიგნის გამომცემლობა „განათლება“ ქუთაისში

ამ ჟამად იბეჭდება წიგნის გამომცემლობის „განათლების“ შემდეგი გამოცემანი:

1) ქართული გრამატიკა (ვრცელი) სილ. ხუნდაძისა.
2) ქართული გრამატიკა (მოკლე) მისივე.
3) ქართული მოკლე გრამატიკა იას. ნიკოლაიშვილისა.
4) ელემენტარული გეომეტრია, შედგ. ს. ოცხელის მიერ.
5) ალგებრაულ ამოცანათა კრებული, შედ. ს. შარაშენიძისა და ნ. სვანიძის მიერ.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 6) არითმეტიკული კრებული | გიმ. | I | კლ. | ალ. ჯაფარიძისა, |
| 7) „ „ | „ | II | „ | ს. დათეშიძისა |
| 8) „ „ | „ | III | „ | ალ. მგალობლიშვილისა. |

**მზადდება გამოსაცემად:**

ქართული ანბანი შედგ. მასწავლებელ ქალთა ჯგუფის მიერ.

ქართული ენის სახელმძღვანელო გიმ. I და II კლ. } შედგ. ქუთ. ქართ.
„ „ „ III და IV „ } გიმნ. მასწავლებელთა ჯგუფის მიერ.

პირველდაწყებითი ალგებრა მე-III და IV კლ. კურსი ს. ოცხელისა.
გეოგრაფია ივანოვისა I კლ. კურსი (თარგმანი)
ქართული სიმღერები, ნოტებზე გადაღებული ნ. შარაბიძის მიერ (საშუალო გამოცემა)

მიღებულია აგრეთვე სხვა და სხვა წიგნი, რომელთა გამოცემის შესახებ ცალკე განცხადება იქნება.

**მისამართი:** Кутаисъ, кгигоиздательство „Ганатлеба“.

# საავადმყოფო

სამხიდრო იქამ ხპეციალიხტებიხა მოხიარული ავადმყოფებიხთვიხ:

დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 431.

ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.

ბელაძე—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. ღებულობს 10—12 ს. ყოველდღე.
გეინაცი—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ახპიხოვი—ყელის, ყურის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
ფირადოვი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
მონხე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.
ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1 საათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
ბეგზადოვი—ქალთა და საშვებიო ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
იოხელიანი—ქალთა დ საშვებიო ავად. ღებულობს ორშ., ოთხშ. დ პარ. 11—12 ს.
ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.
დეკანოზოვი—ქალთა ავად. სამშაბათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
ტრიოცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე, ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
ბაგდოევისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.
ალიხანოვისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.

100—667—30

# თევზის მრეწველნი
# ძმ. მეზვილოვები

პუშკინის ქუჩა, [illegible] სახ., № 5, ტელეფონი № 115.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და [illegible] „[illegible]“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ზანზალაკა, მცირე ხმოილიები, შავი „მეშიშხანი“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის [illegible] ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი შებოლილი ზუთხი, [illegible], [illegible] კონსერვები და [illegible] რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმების [illegible]. (წ.)